# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 ივლისი, 2011 წელი.

№133 (6744)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## რა ოპოზიციაც გყავს, მისი შესატყვისია ხელისუფლებაც ⑤



## საქართველოს ოთია იოსელიანი მოუკვდა...



იხ. 11 გვ.



## გიორგი შენგელაია: მაისთან ერთად პოზიტიურის მოლოდინის იმედიც გაქრა? ②

## სვეტიცხოველში პრეზიდენტის მომხრეების მიყვანა ლევან ვეფხვაძის ცოლისძმამ უზრუნველყო

სვეტიცხოვლის ეზოში ულმერთებმა, რომლებსაც ლევან ვეფხვაძის ცოლის ძმა ხელმძღანელობდა, ფარისევლური სპექტაკლი დადგეს. „პიკაპებით“ მოყვანილი ხალხი პრეზიდენტს ხელებს უკოცნიდა და „მიშა მაგარიას“ გაჰყვიროდა.

ცნობისთვის: „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის მეუღლე წლების განმავლობაში გია ბარამიძის პრესსამსახურის უფროსად მუშაობდა, ხოლო მირიან ჩიქოვანი (ვეფხვაძის ცოლის ძმა) შსს-ს კუდის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია.

② 



## თამარ კორძაია: მინისტრი აცნობიერებდა, რომ მან შეხვედრაზე ვერც დაკავებულთა ჯაშუშობა დაგვანახვა და ვერც მათ ჯაშუშობაში დაგვარწმუნა ③





⑥

## სიხარულის მომნიჭებელი ხელოვნება და ვაჟა ოქიტაშვილის ხასხასა ფერები

## შოთა ზოიძე: გოგოლის პელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის შნიტაზი და წისქვილის ვირეზი

„ბართლომეს ღამეზე“ ფანჯრებიდან მომზირალი მოღვაწენი, 12 საათზე რიგში ჩადგნენ დიქტატორისაგან ორდენების მისაღებად. ეს კულტურის „მოღვაწეთა“ დაჯილდოება კი არა, აბუჩად აგდება და თავსლაფი იყო. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა 9 აპრილს ორდენები და პრემიები რომ მიეღოთ გორბაჩოვისაგან ჩვენს მწერლებს?! ⑦

ბრიფინგი

# მაისთან ერთად პოზიტიურის მოლოდინის იმედიც გაქრა?

## გიორგი შენგელაია მაინც მიტინგების მხურვალე მხარდამჭერია

**ამ გადასახედიდან ძალიან ძნელია, განჭვრიტო, როგორი პოლიტიკური ამინდი ელოდება საქართველოს. მძიმე ვითარება ჩვენს ყოველდღიურობაში ისე შემოიჭრა, რომ ამ სიტყვათა კონტექსტს ყავლი გაუვიდა, გაფერმკრთალდა, გაიცრიცა. იმის მიუხედავად, რომ დროდადრო ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯები არ მოგვწონს, გვაშფოთებს, მაინც ვეგუებით, რაღაც პროტესტის ერთგვარ ფორმას მივმართავთ და მორჩა, ეს დღეც ჩავლილია... შემდეგ კი კვლავ უშედეგობაა, რომელსაც, სამწუხაროდ, იმედგაცრუების თალხი ელფერი ადევს.**

გამოსავლის პოვნაში ხალხს ვინ დაეხმარება, ესეც საინტერესოა. რამდენიმე გზა, თვალთახედვა, სუბიექტური შეხედულებები მხოლოდ საზოგადოების დაქუცმაცებას ემსახურება და არა ერთად შეკვრას, ხოლო ამით მოგებული ხელისუფლება თავის გზას მიჰყვება, აკეთებს იმას, რაც მართებული ჰგონია. ასეც უნდა იყოს, ერთი შეხედვით, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ნამდვილად აქვს. არ არსებობს საზოგადოებასთან თანხმობა, კონსოლიდაცია, ურთიერთგაგება, ამიტომაც ღრმავდება ღრმული და დიდი ბზარი ჩნდება „ჩვენიანებსა“ და „იმათიანებს“ შორის, არადა ყველას ერთი ცა გვაქვს, ერთი სამშობლო.

პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ სიტუაციის განმუხტვის ერთადერთი საშუალება არჩევნებია, მაგრამ საზოგადოება გაცილებით სულსწრაფია და უფრო მალე ითხოვს ქმედით შედეგებს. „სახალხო კრებასაც“ სწორედ ასეთი აზრი ჰქონდა აკვიატებული, მაგრამ მაისთან ერთად პოზიტიურის მოლოდინის იმედიც გაქრა. ხელისუფლებამ ასე თუ ისე მათი განეიტრალება შეძლო, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ხალხში საპროტესტო მუხტი ჩაკვდა და ეს ზაფხული ხელისუფლების სიყვარულით არის დამუხტული. პირიქით, რელიგიური თემებით მანიპულირება ძალიან სენსიტიური თემა გახდა, არანაკლები რეზონანსი აქვს ფოტორეპორტიორების დაკავების საქმესაც, მაგრამ ამის პარალელურად მავანნი კმაყოფილებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ შაქარი გაიაფდა, ხოლო ხილ-ბოსტნეული დაბალ ფასად იყიდება და ა. შ. ანუ ყველა სულიერი და მაღალზნეობრივი იდეალები ბოლოს და ბოლოს ისევ კუჭამდე დავიდა, ყოფითი ყოველთვის წონადია, თუმცა ყველასთვის არა...

**„ხალხი ქუჩაში გამოსვლით არ დაიღლება, მაგრამ პარტიები, რომელნიც ამ მიტინგებს უწევენ კოორდინაციას, არაკორექტულად იქცევიან. არ მესმის, რას ნიშნავდა თუნდაც სტადიონზე შეკრებილი ხალხის შინ გაშვება. მე და ჩემი ოჯახი „სამებასთან“ რომ მიგვაყენეს ძმებმა გაჩეჩილაძეებმა პატრიარქიც უხერხულ ვითარებაში ჩააყენეს?! ასეთი აბსურდული ქმედება არ უნდა განმეორდეს“**

ბევრ მოძრაობას შორის გამოიკვეთა ერთ-ერთი — სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელიც ცდილობს, არ შეეგუოს „შექმნილ მძიმე ვითარებას“, და ლამის ყოველდღე „აბეზრებს“ თავს ჟურნალისტებს ბრიფინგებით. გუშინაც სწორედ ამგვარ შეკრებაზე ერთ-ერთმა ლიდერმა **დავით თარხან-მოურავმა** განაცხადა, რომ მარტო ბრძოლის ნაცვლად ისინი კოორდინირებულ მოძრაობას გეგმავენ სხვა სამოქალაქო გაერთიანებებთან ერთად. მათ შორის პირველი საზოგადოება „დარბაზი“ აღმოჩნდა, რომელსაც კინორეჟისორი გიორგი შენგელაია ხელმძღვანელობს. **„ხელისუფლების ქმედებები არათუ მხოლოდ გვაღიზიანებს, არამედ ის აზიანებს ქართველი ხალხის ინტერესებს. თანაც ყველა მათი განხორციელებული ჩანაფიქრი შეურაცხმყოფელია, რისი ატანაც ძალიან გვიჭირს. ყველამ ბრძოლის თავისებური ხერხები უნდა გამოვნახოთ. დღეს იმ მიზნით შევიკრიბეთ, რომ ვაპირებთ გავერთიანდეთ ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებთან, და სხვებსაც, ასეთი კოორდინაციისკენ მოვუწოდებთ, რათა ასე შევებრძოლოთ ხელისუფლებას“,** — განაცხადა თარხან-მოურავმა.



რაც შეეხება სამოქალაქო-საზოგადოებრივ „დარბაზს“, ის ჯერ კიდევ 2004 წელს ჩამოყალიბდა. თავიდან ეს იყო ფსიქოლოგ შოთა ნადირაშვილის იდეა, რომელიც იმ მიზნით შექმნა, რომ ახალგაზრდა ხელისუფლებას დახმარებოდა. მაშინ საპატიო თავმჯდომარედ რამაზ ჩხიკვაძე აირჩიეს. მათ რიგებში იყო მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიაც, რომელიც მალევე გაერიდა (ალბათ, გასაგები მიზეზების გამო). დღეს უკვე დარბაზი აბსოლუტურად სხვა შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას და ახალი წარმომადგენლები არიან ხელოვნებისა და მეცნიერების მხცოვანი, გამოცდილი მუშაკები: გიორგი შენგელაია, ავთანდილ მამაცაშვილი, გია ჭუბაბრია და სხვები.

**გიორგი შენგელაიას** პოლიტიკური აქტიურობა საზოგადოებისთვის ახალი მოვლენა არ არის. ის ყოველთვის გამოირჩევა ხოლმე მკვეთრი, ხანდახან არაორდინალური განცხადებებითაც კი. გუშინ გამართულ ბრიფინგზე კი მხურვალე მხარდაჭერა მხოლოდ და მხოლოდ მიტინგებს გამოუცხადა: **„ჩვენი დარბაზი“ თავიდან ოპოზიციური განწყობილებით არ შექმნილა, მაგრამ მდგომარეობა დამძიმდა, დავშორდით სამართლიანობის გზას და არც არავითარი ნიშანი დემოკრატიისა არა გვაქვს, ამიტომაც აღმოვჩნდით დღეს ხელისუფლების კრიტიკოსთა რიგებში. ჩვენ გამოცდილი ადამიანები ვართ და ვცდილობთ, ხალხს დავეხმაროთ. ბრიფინგები, მიტინგები, საყოველთაო გამოსვლები, აი, რასაც მხურვალედ ვუჭერ მხარს. ყველაფერი, ჩემი აზრით, მხოლოდ ქუჩაში, ღია მოედანზე გადაწყდება, ისე როგორც ეს არაბული რევოლუციების შემთხვევაში მოხდა“,** — აღნიშნა მან.

გიორგი შენგელაიამ მიტინგების აუცილებლობას კი დაუჭირა მხარი, მაგრამ პოლიტიკოსების კრიტიკას მაინც არ მოერიდა. **„ხალხი ქუჩაში გამოსვლით არ დაიღლება, მაგრამ პარტიები, რომელნიც ამ მიტინგებს უწევენ კოორდინაციას, არაკორექტულად იქცევიან. არ მესმის, რას ნიშნავდა თუნდაც სტადიონზე შეკრებილი ხალხის შინ გაშვება. მე და ჩემი ოჯახი „სამებასთან“ რომ მიგვაყენეს ძმებმა გაჩეჩილაძეებმა პატრიარქიც უხერხულ ვითარებაში ჩააყენეს?! ასეთი აბსურდული ქმედება არ უნდა განმეორდეს“,** — განაცხადა გიორგი შენგელაიამ, რომელმაც მიტინგის დანიშნულებაზეც ისაუბრა. მისი თქმით, ახლა ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქციების ჩატარება, სადაც საზოგადო მოღვაწეებიც და პოლიტიკოსებიც დაელაპარაკებიან ხალხს, გააანალიზებენ დეტალებს და აუხსნიან, თუ რატომ არის აუცილებელი ცვლილება.

ჩემი აზრით, ეს უკანასკნელი იდეა, ალბათ, ყველაზე მისაღებია. კორექტული, ობიექტური მოსაზრებების მოსმენა უფრო სასარგებლოა, ვიდრე „მიშა, წადის“ ძახილი, ლანძღვა-გინება და იმის მეათასეჯერ განმეორება, რაც ისედაც ყველამ იცის — რომ ხელისუფლება ცუდია. მაგრამ არავინ გვიხსნის, თუ რატომ არის ცუდი, რა იქნებოდა უკეთესი და ვინ შეძლებდა პასუხისმგებლობის აღებას. როგორც ვნახეთ, არაერთ დაძაბულ სიტუაციაში ხალხი იჭყლიტება, უბრალო მოქალაქეების ინტერესები ილახება, ხოლო პოლიტიკოსები „მშრალად“ გამოდიან. სწორედ ამიტომ და კიდევ უამრავ მიზეზთა გამო, ძალიან რთულია დღეს იმედებზე ლაპარაკი, მით უფრო აქციებსა და მიტინგებზე, ხალხში პროტესტის გაღვივებაზე და მისი მშვიდობიანი ფორმით გადმონთხევაზე. მაგრამ, როგორც ვთქვით, ყველას თავისი ამბიცია, თვალსაწიერი და მოქმედების თავისებური ფორმა აქვს... ვინც იცის, რომელი გაამართლებს, ან საერთოდ გაამართლებს თუ არა, მაგრამ უმოქმედობას და ფარ-ხმლის დაყრას მაინც ყველაფერი ჯობს.

**ხალხს, დიდი ხანია, პესიმიზმი და ინდიფერენტულობა შეეპარა. უარესი იქნება, იგივე აქტიურ საზოგადოებრივ მოძრაობებსა და პოლიტიკოსებს რომ გადაედოთ...**

**თეა მოსია**

SIC!

# სვეტიცხოველში პრეზიდენტის მომხრეების მიყვანა ლევან ვეფხვაძის ცოლის ძმამ უზრუნველყო

**სვეტიცხოველში პრეზიდენტის მომხრეების მიყვანა ლევან ვეფხვაძის ცოლის ძმამ უზრუნველყო. ამის შესახებ ინფორმაცია პრესაჯი.ტვ-ს ერთ-ერთმა თვითმხილველმა (რომელიც ვეფხვაძის ოჯახს კარგად იცნობს), მიაწოდა იმ პირობით, რომ მის ვინაობას არ გავამხელდით.**

როდესაც ქვეყანაში ადამიანს რაღაცის მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდება და ამ პროტესტს ხმამაღლა, შიშის გამო, ვერ გამოთქვამს, ძნელია, დემოკრატია ეწოდოს. მაგრამ საქართველოში დღეს დემოკრატიად რატომღაც ის ითვლება, თუ ყველა კუთხეში „მიშა მაგარიას“ ყვირი.

ის, რაც სვეტიცხოვლობა დღეს სვეტიცხოვლის ეზოში მოხდა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეურაცხყოფად მიიღო, რადგან



წარმოუდგენელია, რელიგიურ დღესასწაულზე ეკლესიაში სალოცავად მისული ადამიანი პრეზიდენტის სახელს ყვიროდეს და მის დანახვაზე თვალებზე ცრემლები ადგებოდეს. მით უმეტეს, თუ ორი დღით ადრე, ეს საზოგადოება ამ ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საკმაოდ მწვავედ აპროტესტებდა.

სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საზოგადოებისთვის ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ სვეტიცხოვლის ეზოში რიგითი ადამიანები იყვნენ შეკრებილნი და სააკაშვილს ხელებს უკოცნიდნენ.

მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ხალხი ის „სანდო“ ადამიანები იყვნენ, ვინც სწორედ იმისთვის მიიყვანეს იქ, რომ სააკაშვილით აღფრთოვანება გამოეხატათ და მადლობები ეხადათ. პრინციპში, ეს ახალი არ არის და ბოლო წლების განმავლობაში პრეზიდენტის შესაგებებლად მუდმივად ხან მინაშვილის სიდედრი, ხან მსგავსი ფიგურების ახლობლები და ხან რომელიმე გამგებლის ბიძაშვილი და მამიდაშვილი მიჰყავთ. შემდეგ კი ნაციონალური ტელეარხების მიერ, ეს ისე პიარდება, თითქოს რიგითი ადამიანები ისე არიან ქვეყნის და საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილნი, რომ პრეზიდენტის დანახვისას მადლობის სათქმელად მიწაზე ხოხავენ.

ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ პრეზიდენტის სვეტიცხოველში მისვლა სწორედ ამ სცენარით წარიმართა.

სააკაშვილის მისვლამდე სვეტიცხოვლის ეზოში შესასვლელი დაცვამ გადაკეტა და არავის უშვებდნენ. შემდეგ უკვე შსს-ს „პიკაპებით“ მოიყვანეს ხალხი და შესასვლელთან ჩამწკრივდნენ. (ცნობისთვის, ასეთ მანქანაში ოცამდე ადამიანი ეტევა). სვეტიცხოვლის შესასვლელთან ასეთი მანქანები საკმაო რაოდენობით იყო გაჩერებული.

რა თქმა უნდა, ამ მანქანებში სპეცტანსაცმლიანი არავინ მჯდარა და მათი ძირითადი ნაწილიც ისე იყო ჩაცმული, რომ მორწმუნე მრევლს დამსგავსებოდა. მაგრამ, ამ ხალხის ეზოში შეყვანას და კონკრეტულად იმ ადგილას განლაგებას, სადაც პრეზიდენტს უნდა გაევლო, შსს-ს მაღალჩინოსნები ხელმძღვანელობდნენ.

ცხადია, არც ეს არის გასაკვირი, რადგან ასეთ რამეებს უკვე მიჩვეულები ვართ. მაგრამ, როგორც ჩვენი წყარო ირწმუნება, ამ ოპერაციას საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლის, „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ლევან ვეფხვაძის ცოლის ძმა მირიან ჩიქოვანი ხელმძღვანელობდა.

მირიან ჩიქოვანი შსს-ში კუდის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია და სწორედ მისი მითითებებით მოქმედებდნენ იქ მიყვანილი ადამიანები და იგი ანიშნებდა, ვინ უნდა მოხვეოდა სააკაშვილს და ვინ არა.

თუკი ლევან ვეფხვაძის ცოლის თანამდებობას გავითვალისწინებთ, რომელიც წლების განმავლობაში გია ბარამიძის პრესსამსახურის ხელმძღვანელად მუშაობს და ყველა იმ სტრუქტურაში ეს თანამდებობა უკავია, სადაც ბარამიძე ინიშნება, მისი ძმის შსს-ში თანამდებობაზე ყოფნა გასაკვირი ნამდვილად აღარ არის.

ჩვენ დავინტერესდით, რა რეაქცია ჰქონდა ლევან ვეფხვაძეს ამ ყველაფერზე, მაგრამ იგი ტელეფონის ზარებს დაჟინებით არ პასუხობდა.

**თეონა ხარაბაძე**

ინფორმაცია

## გაიხსნა საპატრულო პოლიციის ახალი საგუშაგო

**შინაგან** საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და ქვემო ქართლის გუბერნატორმა დავით კირკიტაძემ თბილისი-ბაკურციხის 27-ე კილომეტრზე საპატრულო პოლიციის ახალი საგუშაგო გახსნეს.

შსს-ს ცნობით, აღნიშნული საგუშაგო მოემსახურება თბილისის შემოვლით გზას ავჭალიდან ლოჭინის ხიდამდე, ფონიჭალიდან წითელი ხიდის მიმართულებით, გომბორიდან საგარეჯოს რაიონის სოფელ სასადილომდე და ლილოდან სართიჭალამდე, რაც მთლიანობაში შეადგენს 200-კილომეტრიან ავტომაგისტრალს.

მათივე ცნობით, საპატრულო პოლიციის საგუშაგო არის სრულიად გამჭვირვალე, მსგავსად სხვა შენობებისა და აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით. შენობაში მუშაობს 70-მდე პატრულ-ინსპექტორი და მოემსახურება ცხრა საპატრულო პოლიციის ავტომანქანა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შვიდი მსგავსი, ახლად აგებული საგუშაგო მოქმედებს, რომელიც ემსახურება ავტომაგისტრალებს.

## შთაბეჭდილება

**ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტორეპორტიორებთან დაკავშირებით, შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრის შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრს თამარ კორძაიას ესაუბრა, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა.**



**— ქალბატონო თამარ, როგორ შეაფასებდით შს მინისტრთან შეხვედრას და როგორია ამ შეხვედრასთან დაკავშირებით თქვენი მთავარი დასკვნა?**

— შეხვედრაზე ჩვენ, მინისტრის წინაშე ორი მოთხოვნა დავსვით — პირველი იყო ის, რომ ეს პროცესი სრულიად საჯარო გამხდარიყო. საჯაროობასთან დაკავშირებით, მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ანუ გვითხრეს, რომ სასამართლო პროცესი ღია იქნება. თუმცა, იმ საიდუმლო დოკუმენტებს, რომელიც საქმეშია და რომელთაც ადევთ გრიფი „საიდუმლო“, არ გაასაჯაროებენ. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას — თავდებით გაშვებასთან დაკავშირებით, ამაზე კატეგორიული უარი მივიღეთ. მინისტრის თქმით, დაკავებულთა გაშვებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს გამოძიებას, ანუ სამინისტრო დაკავებულთა კავშირებისა და არხების დადგენას ცდილობს და ამ თვალსაზრისით, მათი გამოშვება საფრთხეს წარმოადგენს. ბატონმა ვანომ თქვა იმის შესახებაც, რომ თუ ამგვარი საფრთხე აღარ იარსებებს და ის, რაც სამინისტროს აინტერესებს, გაირკვევა, შესაძლოა ისინი ნახევარ საათში გაათავისუფლონ ან საერთოდ არ გაუშვან.

შეხვედრაზე დაკავებულთა ბრალეულობის შესახებ დამატებითი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ და არაფერი იმაზე მნიშვნელოვანი, რაც საზოგადოებამ ტელევიზიის საშუალებით იცის, ჩვენთვის არ უთქვამთ. სამინიტროს ჩვენთვის დაკავებულთა ბრალეულობის შესახებ არგუმენტები არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მათი პოზიციის სიმყარეშიც ვერ დაგვარწმუნეს. თუმცა, ამავე შეხვედრაზე ბატონმა მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ სასამართლო პროცესზე ყველა დარწმუნდება, რომ გამოძიება დაკავებულებთან მიმართებაში მართალია.

**— თქვენ, ალბათ, უკვე გაეცანით ვანო მერაბიშვილის საერთაშორისო მედიასაშუალებების ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ, ამავე მედიის წარმომადგენლების მიერ მომზადებულ მასალებს. ამ ორ შეხვედრასთან დაკავშირებით, მინისტრის ქცევასა და გამონათქვამებს შორის რაიმე განსხვავება შეამჩნიეთ? თუ განსხვავება რეალურად არ იყო, რაში დასჭირდა მინისტრს ჟურნალისტებთან სხვადასხვა დროს შეხვედრა?**

— გულწრფელად გეტყვით, შეხვედრის შემდეგ იმდენი ადამიანის კითხვებს ვპასუხობ, რომ საერთაშორისო მედიაზე მომუშავე ქართველი ჟურნალისტების მასალების გაცნობა ვერ მოვასწარი. თუმცა, კოლეგებისგან ამ მასალების შესახებ გარკვეული ინფორმაცია მაქვს. შეხვედრებს შორის რომ განსხვავება მინიმალურია, ან არც არის, რაზეც მაქვს ინფორმაცია, იმაზე მიუთითებს, რომ სამინისტროს დაკავებულებთან დაკავშირებით ქართულ და საერთაშორისო მედიასთან მიმართებაში ერთიანი სტრატეგია აქვს და პრაქტიკულად იმაზე მეტს არ ამბობს, რაც ცნობილია.

**— შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტები ყურადღებას ამახვილებენ მინისტრის იმ გამონათქვამზე, რომ ტელევიზიით გადაცემული დაკავებულებს შორის სატელეფონო საუბარი სულაც არ არის მტკიცებულება მათი ჯაშუშობის შესახებ და რომ ეს იმიტომ გაკეთდა, რომ საზოგადოება დაკავებულებს შორის კავშირში დარწმუნებულიყო. თქვენ, როგორც იურისტი, როგორც შეაფასებდით მინისტრის ამ განცხადებას?**

— ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კავშირი სხვასთან, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი დანაშაულს სჩადიან ან ჯაშუშები არიან. იმისთვის, რომ ჯაშუშობა დადასტურდეს, საქმეში რამდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა არსებობდეს. პირველი — ის, რომ ვიღაც აგროვებდეს ინფორმაციას და ამ ინფორმაციას ანაზღაურების საფასურად გადასცემდეს უცხო ქვეყანას ან ჯაშუშურ ორგანიზაციას, ან მათთან გაიგივებულ ორგანიზაციას. ეს სამივე შემადგენელი კარგად უნდა იყოს დადასტურებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ვიღაცა ვიღაცას ტელეფონით უკავშირდებოდა, მართლაც არაფერს არ ნიშნავს. მინისტრთან შეხვედრაზე დაკავებულებთან ამ სამივე ბრალდების კავშირი ვერ დავინახეთ. თუმცა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩვენ ამ ბრალდებების ნახვის საშუალება სასამართლოში გვექნება. მინისტრი აცნობიერებდა, რომ მან შეხვედრაზე ვერც დაკავებულთა ჯაშუშობა დაგვანახა და ვერც მათ ჯაშუშობაში დაგვარწმუნა. ამ თემაზე საუბრისას მან განაცხადა: „სასამართლოს დასრულების შემდეგ თქვენ უკმარისობის გრძნობა არ დაგრჩებათ“.

> **მინისტრი აცნობიერებდა, რომ მან შეხვედრაზე ვერც დაკავებულთა ჯაშუშობა დაგვანახა და ვერც მათ ჯაშუშობაში დაგვარწმუნა**

**— შეხვედრის თითქმის ყველა მონაწილე აცხადებს, რომ მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გაუმყარდათ იმის შეგრძნება, რომ სამართალდამცველებს დაკავებულთა ბრალეულობის მტკიცებულება არა აქვთ. თქვენც ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ჩვენს კითხვაზე — თუ რით დასტურდება, რომ რუსეთის სპეცსამსახური დაკავებულებს ურიცხავდა თანხებს, პასუხი ასეთი იყო — „ჩვენ ამაზე ვმუშაობთ“. ბევრ რამეზე, რაზეც ჩვენ ვსვამდით კითხვებს, პასუხი იყო — „ვმუშაობთ“. ერთადერთი ახალი, რაც ჩვენ იქიდან გამოვიტანეთ, ისაა, რომ სამართალდამცველები ცდილობენ მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაასრულონ ძიება და განხილვისთვის სასამართლოს გადასცენ. მათი ლოგიკა ასეთია — დამატებითი მტკიცებულებებით ბრალდების გამყარება და საქმის რაც შეიძლება სწრაფად სასამართლოსთვის გადაცემა. მათ კარგად ესმით, რომ ჯაშუშობა რთული დანაშაულია და შესაბამისად, მის დამტკიცებას სერიოზული მუშაობა სჭირდება.

**— თუ ქურციკიძის ოკრიკოვთან 24-ჯერ, ხოლო სინიცინთან 13-ჯერ სატელეფონო საუბრის ჩანაწერები რეალურად არ არსებობს, თუ ტელეფონი, რომლითაც იგი ზემოხსენებულ პირებს ესაუბრა, ქურციკიძის არ ყოფილა, როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ქურციკიძე ჯაშუშია, ან გედენიძე გრუ-მ გადაიბირა, ან აბდალაძე დიდი ხანია „გიორგაძის კაცია“?**

— სატელეფონო ზარებით ნამდვილად შეუძლებელია რაიმეს დამტკიცება. ისინი თავადაც ხვდებიან, რომ გაუშიფრავი სატელეფონო საუბრებით ჯაშუშობის დამტკიცება ძნელია. მათ თავადაც თქვეს, რომ ეს მხოლოდ ფაქტია. ნომრიდან ნომრის აკრეფა პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს და საჭიროა ამ საუბრების შინაარსის ცოდნა.

**— საინტერესოდ მეჩვენა მინისტრის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ მას ყველაზე მეტად ქურციკიძე ესიმპათიურება. თქვენი აზრით, რატომ შეიძლება ესიმპათიურებოდეს ბატონ ვანოს გრუს აგენტობაში ბრალდებული ქურციკიძე?**

— ამაზე კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. ეს მისი პირადი აზრი იყო და თუ რატომ თქვა, ალბათ უმჯობესია ამაზე პასუხი მინისტრისგან მოვისმინოთ. შესაძლოა, ეს გამონათქვამი იმაზე მსჯელობას უკავშირდებოდეს, რომ წუხილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ დანაშაულს სჩადიოდნენ ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი პირები გედენიძე და აბდალაძე, ხოლო ქურციკიძე მათგან განსხვავებით, ხელისუფლების ნდობით არ სარგებლობდა.

**— ჟურნალისტების ნაწილი ამტკიცებს, რომ კამერის გარეშე ჟურნალისტებთან შეხვედრით მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოიგო, რომ ჟურნალისტები მას კამერების გარეშე არ უნდა შეხვედროდნენ და ასე შემდეგ...**

— ყველას, ვინც იქ ვიყავით მისულები, კარგად გვესმის, რომ საქმე ფოტორეპორტიორებს, თავისუფალი აზრის გამოხატვას, ინფორმაციის მოპოვებას და გადაცემის თავისუფლებას ეხება. თუ ფოტორეპორტიორები ირიბად ისჯებიან იმის გამო, რომ მათ 26 მაისის ამსახველი მნიშვნელოვანი ფოტოები გაავრცელეს, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ფოტოების გავრცელება ინფორმაციის და აზრის გამოხატვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ჩვენ მინისტრთან სწორედ იმის გასარკვევად ვიყავით, უკავშირდებოდა თუ არა ფოტორეპორტიორების დაკავება ქვეყანაში ინფორმაციის მოპოვების, გავრცელებისა და აზრის გამოხატვისა და გავრცელების შეზღუდვას.

მინისტრთან მისული ადამიანები გამოხატავენ იმ ადამიანების აზრს, ვისაც გული შესტკივა დაკავებულ სამ ფოტორეპორტიორზე. ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ყველა ღონე გვეხმარა, რათა პროცესი გახსნილი ყოფილიყო. არა მარტო იმ ადამიანების, ვინც შეხვედრაზე იყო, არამედ სამოქალაქო საზოგადოების აქტივობამ განაპირობა ის, რომ სასამართლო პროცესი ნაწილობრივ გაიხსნება. მართალია, ეს არ არის ჩვენი მოთხოვნის სრულად შესრულება, მაგრამ ეს ასეა თუ ისე, წარმატება მაინც არის. ამას ვინ როგორ შეაფასებს, ვერ გეტყვით. ყველას აქვს თავისი აზრის ქონისა და საჯაროდ გამოხატვის უფლება.

**კობა ბენდელიანი**

## სიახლე

# თბილისელებს ახალი ყვითელი სამარშრუტო ტაქსები ემსახურება

**პირველ ეტაპზე ოთხი ნომრის სამარშრუტო ხაზის მიკროავტობუსები შეიცვალა.**

რაც შეეხება გადახდის სისტემას — მოსახლეობას შეეძლება იმ პლასტიკური ბარათებით სარგებლობა, რომლითაც ამჟამად სარგებლობენ მუნიციპალურ ტრანსპორტებში. პირველი მგზავრობა ეღირება 80 თეთრი, შემდგომი მგზავრობა კი 65 თეთრი.

მგზავრთა გადასაადგილებლად დედაქალაქში 36 ახალი ავტომობილი იმოძრავებს. „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსები 2011 წლის გამოშვებისაა.

უახლოეს მომავალში მოხდება ყველა სამარშრუტო ხაზზე მომუშავე ძველი მიკროავტობუსების ახლით ჩანაცვლება.

შეღავათებით ისარგებლებენ სოციალურად დაუცველი ადამიანები. მათ მგზავრობის საფასურის მხოლოდ ნახევრის გადახდა შეეძლებათ. მეორე ნახევარს კი დედაქალაქის მერია დაფარავს.

ამასთან, მერიაში აღნიშნავენ, რომ 80 თეთრამდე მგზავრობის ღირებულების გაძვირება №4 მარშრუტის გარდა სხვა სამარშრუტო ხაზებს არ შეეხება. მგზავრობის ღირებულება დანარჩენ ხაზებზე კვლავ 50 თეთრი იქნება.

**ჯი-ეიჩ-ენი**




## წკეპლიკა

# მოდურობა მუდამ იყო ცხოვრებაში ერთი „დარგი“...

**დიახ, მოდა და მოდურობა ცხოვრების უცვლელი თანამგზავრია „ყოველთვის, ყოველ დროს, ყოველგან“ და არცთუ იშვიათად, ფრიად უცნაური სახით (უცნაური სამოსელითაც!) გვევლინება; თანაც მრავალფეროვანია — მგონი, სახელისუფლებო-სამთავრობოც კი...**

განა ბოლო ჟამს სახელისუფლებო (საძალაუფლებო!ძ მოდად არ იქცა მეზობელი სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით ადამიანთა აყვანა? (ისე, ოთხი მეზობელი ქვეყნიდან მაინცდამაინც რუსეთს ნუ იგულისხმებთ...ძ; თანაც გამთენიისას, „დაკავებითი“ აწიოკება უფრო ეფექტური რომ გამოვიდეს... ანდა ასევე სამთავრობო მოდა არ გახდა მთავრობის სხდომათა გამართვა უჩვეულო ადგილებზე (სპორტის სასახლის სახურავი, უძოს მწვერვალი, არაგვის ხეობა, სათაფლიას მღვიმე, წიფის გვირაბიძ?..

პირადად მე მოდის ნაირსახეობად წარმომიდგება ჩვენი ლამაზი, ჩვენი საყვარელი ბათუმის ამგვარი „ამოტივტივება“ ზღვის დონიდან ამოდენა სიმაღლეზე და საზოგადოებრივი ცნობიერების, თუ გნებავთ, ცხოვრების აგრე მასშტაბური „აბათუმება“ (ეგებ „გაბათუმება“...ძ; ასე გასინჯეთ, ოპერატიულობით, სამართლიანობით, მიუკერძოებლობით სახელგანსმენილი საინფორმაციო ტელეგადაცემა „კურიერიც“ კი თბილისურ ახალ ამბებს ბათუმის ფეშენებელურ სასტუმრო „შერატონიდან“ გვასმენინებს...

ზემოთ უცნაური სამოსელი ვახსენე და კვლავ პირადად მე განსაკუთრებით მაკვირვებს მოდის ამჟამინდელი „აყვირება“ — დახეულ-დაფხრეწილი ჯინსის „ენა-პირით“ (უფრო ზუსტად, ჯინსის ტოტებისა...ძ; ამნაირი განსაცვიფრებელი მოდურობა არასოდეს არ მინახავს და არცა მსმენია.

აგერ, ავტობუსში ამოვიდა და გვერდით მომიჯდა არცთუ გოგოდ საწოდებელი ასაკის ქალბატონი, რომელსაც ჯინსის ტოტებიდან მუხლები და ბარძაყები გადმოეყარა ოთხი ლურჯი ხვრელიდან — ორ-ორად სიმეტრიულიდან თითო ტოტზე... თითქოს რა ჩემი საკითხავია, ვინ რას ჩაიცმევს, მაგრამ სულო ცოდვილო, ვიფიქრე — ამ კაი მოდისშვილს, თუ მუხლებისა და ბარძაყების გამოფენა უნდა, სულ მოკლე ჯინსის შარვლით ვერ ივლის-მეთქი?..



კარგი, გოგოებს რაღაც-რაღაცების დემონსტრირება სწადიათ, ოღონდ ბიჭებსაც რომ აცვიათ აგრე დახეული ჯინსები? იმათ რაღა აქვთ გადმოსაყრელ-საჩვენებელი, ყოველ შემთხვევაში, იმ ადგილებიდან?..

საქმეგამოლეული ვარ და მაინტერესებს: ჯინსის შარვლები ასეთ „დახეულ-დაფხრეწილ მდგომარეობაში“ იყიდება თუ მთელტოტებიანს იძენენ და მერე მოჰყავთ ჭკუაზე? ჩემო საყვარელო თბილისო, ჯერ კიდევ დედაქალაქო, მომეც ამის პასუხი — მოგწონს თუ არა შენს ქუჩებში ამგვარჯინსებიანი „მოდამენები“ და კიდევ მეტი „მოდავუმენები“?..

**რამაზ გორგაძე**

მე ასე ვხედავ!

# მოვუხმოთ გონებას!..

**წარსულში კავკასია რომ კონფლიქტების (ზოგჯერ სისხლიანის) კერას წარმოადგენდა, ეს ფაქტია. გამონაკლისი საბჭოთა პერიოდი იყო, როდესაც შიშით დარეგულირებულ ურთიერთობას ბოლოს და ბოლოს მოვერგეთ და მისი საწინააღმდეგოც თითქოსდა აღარაფერი გვქონდა (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა).**

ამიერკავკასიის სამი ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა, რა თქმა უნდა, საზეიმო და დადებითი მოვლენაა, მაგრამ მას უარყოფითი მომენტებიც გამოაჩნდა, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ათეული წლებით მიძინებული სეპარატისტული ზრახვების გაღვიძება.

სამივე ქვეყანას გაუჩნდა გამაღიზიანებელი მიზნები და პრეტენზიები, რომელთა მომწამვლავ კორიანტელში საქართველო ყველაზე დაჩაგრულად გამოიყურება. ეს ფაქტია. მაგრამ ჩემი წერილის (გნებავთ, მოწოდება დაარქვითძ მიზანი სულ სხვაა. საჭიროა სამივე ქვეყნის ხალხმა დროულად მოუხმოს გონებას. გავითვალისწინოთ ის უბედურება, რაც შეიძლება მოჰყვეს დღეს „აგორებული" დაპირისპირების მცდელობას, გამოხატულს ურთიერთუპატივცემლობაში, ვერაგობასა და სხვადასხვა ფორმის (სულერთია, ყალბ თუ ჭეშმარიტძ პრეტენზიებში.

არადა სამივე ქვეყანას გააჩნია საამაყო ისტორიული წარსული, სამივე ქვეყანას შეუძლია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით იცხოვროს ნორმალურად. სამივეს გააჩნია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა (ლიტერატურა, ხელოვნება, არქიტექტურა, მეცნიერება, სარწმუნოებაძ. ერთმანეთის არაფერი არ გვჭირდება, გარდა მეგობრობისა და კეთილი მეზობლობისა. ბოროტმოქმედთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მავნე მოქმედებებსა და უსაფუძვლო პრეტენზიებს დროულად ჩახშობა უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ადვილად შეუძლიათ გამოიწვიონ ფართომასშტაბიანი დაპირისპირება, რაც არც ერთ მხარეს მოუტანს სიკეთეს, არც მეორეს და არც მესამეს.

იმედია, კადნიერებაში არ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველაზე სათუთ მოპყრობას საქართველო იმსახურებს, რადგან სწორედ მის ტერიტორიაზე ცხოვრობს ათი ათასობით ორი მეზობელი ქვეყნის ხალხი, ცხოვრობს ქართველ მოსახლეობასთან აბსოლუტურად თანაბარი უფლებებით.

დამერწმუნეთ, მხოლოდ ქართული ცხოვრების წესმა, ამ ცხოვრების ინტერნაციონალურმა ფონმა უზრუნველყო და განაპირობა ის, რომ იმ ავადმოსაგონარ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე უშუალოდ მეზობლობაში მცხოვრებ ამ ორი ეროვნების ადამიანებს შორის მცირედი კონფლიქტიც კი არ მომხდარა, რომ აღარაფერი ვთქვათ სისხლიან დაპირისპირებაზე.

ნუ შევუქმნით არსებობის პირობებს იმ აზრს, რომელიც ჩვენი ხალხების სასურველ ურთიერთობას აკნინებს, მახეს უგებს და წარსულში ჩვენს ურთიერთპატივისცემას მხოლოდ საბჭოური ცხოვრების შედეგად შექმნილი შიშით ხსნის. ვისურვებდი, რომ სწორედ მიღწეულ დამოკიდებულებას მიეცა სტიმული ჩვენი ერების გულწრფელი ურთიერთპატივისცემისა და ნდობისთვის, რაც, პირველ რიგში, გამოიხატებოდა ერთურთის ტერიტორიაზე მცხოვრები მეზობელი ქვეყნის ეროვნების ხალხების პატივისცემაში, სახელმწიფო საზღვრების ცნობისა და ხელშეუხებლობის გარანტიაში, ერთმანეთის ბუნებრივი მონაცემების სიკეთით, უანგაროდ, მხოლოდ სტუმრის სტატუსით გამოყენებასა და სარგებლობაში. დღევანდელ რთულ ცხოვრებაში პრობლემები სახელმწიფოთა ურთიერთობაში კი არადა, კულტურულ და კეთილგანწყობილ ოჯახშიც შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ, მშვიდი, ყოველმხრივ შესწავლილ-შემოწმებული ცივილიზებული მიდგომით გადაწყვეტილების მიღება ჩიხიდან უმტკივნეულოდ გამოსვლის უტყუარი გზაა.

და სრულებითაც არ ატარებენ ეროვნულობით ნაკარნახევ რაიმე სახით მიკერძოების ნიშანს.

სრულიად ნათელია ჩვენს ქვეყნებს შორის წამოჭრილი პრობლემების მოწესრიგების საკითხში ჩვენი პატრიარქის რჩევა სიდინჯისა და აუჩქარებლობის გამოძებნის შესახებ. ასეთ ვითარებაში და კეთილი ნების გამოხატვის პირობებში, უმტკივნეულოდ შეიძლება მოწესრიგდეს ნებისმიერი პრობლემა. ჩვენი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება პირწმინდად უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი მზაკვრული და ყალბი დიპლომატიური ხერხებისგან, რომ აღარაფერი ვთქვათ ვერაგობაზე. ხაზგასმულია ისიც, რომ დასმული საკითხები უნდა გადაწყდეს მკაცრად გამოხატულ სუვერენულ და გათანაბრებულ საწყისებზე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეზობელი ქვეყნის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა გადაჯაჭვული უნდა იყოს დამთმობი ქვეყნის სასარგებლოდ ანალოგიური საკითხის გადაწყვეტასთან.

საერთოდ კი მცდელობა არ უნდა მოვაკლოთ სამივე ქვეყნის ხალხების მშვიდობიან, ურთიერთპატივისცემით აღსავსე გონივრული ცხოვრების უზრუნველყოფას.

ის, რისი დასაბამის მიცემის




დავივიწყოთ არასასიამოვნო მომენტები განვლილი ცხოვრებიდან და წინა პლანზე წამოვწიოთ გახსენება ყველა იმ სიკეთის, ურთიერთთანადგომისა და კულტურული ურთიერთობის, რაც ჩვენს წარსულს უხვად გააჩნია. დამერწმუნეთ, დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა სიტუაციაში, ეს სამივე ქვეყნისთვის სასარგებლო და მომგებიანია.

წარსულში ჩემმა სამსახურებრივმა საქმიანობამ საშუალება მომცა ახლოს გავცნობოდი ჩვენს ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული არაქართველი ხალხის ცხოვრებას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მათი ცხოვრების დონე ოდნავადაც არ ჩამორჩება ძირითადი ეროვნების ხალხის ცხოვრებას, ზოგჯერ უსწრებს კიდეც მას. ეს ვრცელდება მათ სულიერ ცხოვრებაზეც. რაც შეეხება მათ ცხოვრებაში არსებულ ყოფითი ხასიათის პრობლემებს, ისინი საერთოა (ვიმედოვნებთ, რომ დროებითიაძ მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის მცდელობის ნიშნებიც გამოიკვეთა დღეს ჩვენს ურთიერთობაში, აშკარად მტრის „შემოგდებულია" და მას სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. უკუვაგდოთ უსაფუძვლო პრეტენზიები, ხოლო საფუძვლიანს (რომელთა წილი, ჩემი აზრით, უმნიშვნელოაძ, ჩავუჯდეთ წყნარად, აუჩქარებლად და გადავჭრათ მეცნიერულ, პროფესიულ და, რაც მთავარია, ღვთისგან ნაკარნახებ მაღალსულიერ დონეზე.

მოვუხმოთ გონებას, ბატონებო!

ნუ მოვუსპობთ ჩვენს მომავალ თაობას ძმობის, მეგობრობის და ურთიერთპატივისცემის წმინდა გრძნობას!

თან გვახსოვდეს, რომ კავკასიური ომი მეოთხე მსოფლიო ომის პროვოცირებაა.

**რევაზ ტყემალაძე,**
საქართველოს ეროვნული და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ღირსების ორდენოსანი

ინფორმაცია

## დააკავეს კიდევ ერთი მეწარმე

**დიდი ოდენობით პროდუქციაზე გამოწერილი ყალბი საგადასახადო დოკუმენტაციის დამზადება-გასაღების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ინდივიდუალური მეწარმე მალხაზ ქიტიაშვილი და მისი თანამშრომელი ზურაბ ადუაშვილი.**

**როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, რომ აღნიშნულმა პირებმა 4500 ლარის სანაცვლოდ ერთ-ერთ მოქალაქეს დაუმზადეს და გადასცეს ათასობით ლარის საკვებ პროდუქტებზე გამოწერილი ყალბი სასაქონლო ზედნადები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა. სამართლადამცველებმა ორივე ბრალდებული უშუალოდ ფაქტზე დააკავეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ სიტყვა „ჯაშუშის" მნიშვნელობა დააკონკრეტოს

**ჟურნალისტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები 314 -ე მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ.**

**სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლი ჯაშუშობას ეხება, რომელიც, იურისტების განმარტებით, ბუნდოვანია და კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში მოდის. აღნიშნული მუხლით ფოტოჟურნალისტებიც არიან დაკავებულები.**

**ჟურნალისტებს და იურისტებს პრობლემას უქმნის რამდენიმე წინადადება, მაგალითად „საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის, ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა", როგორც საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, 314-ე მუხლში საუბარი მთავრდება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე და საუბარი იწყება სხვა ინფორმაციაზე, რაც ბუნდოვანია.**



**— „სხვა ინფორმაცია" და „საქართველოს ინტერესების საზიანოდ„გაუგებარი ტერმინებია და შეიძლება მოერგოს ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერ საქმიანობას. რანაირად უნდა დაესიზმროს ადამიანს, რომ ინფორმაცია ხელისუფლებამ სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანად შეიძლება ჩათვალოს; ეს შეფასებითია. შეიძლება ის, რაც თქვენ ზიანის მომტანად მიგაჩნიათ მე სასარგებლოდ მივიჩნიო, — განაცხადა ხმალაძემ.**

**მისივე თქმით, მინიმუმ ეს ნაწილი ანუ „სხვა ინფორმაცია" უნდა იქნეს ამოღებული. 314-ე მუხლი — ჯაშუშობა, სისხლის სამართლის კოდექსში ასეა ფორმულირებული.**

**— სხვა უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე. ჯაშუშობა, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე, — აცხადებს ხმალაძე და დასძენს, რომ ამჟამად იურისტები და ჟურნალისტები მსჯელობენ სარჩელის მომზადებაზე, რის შემდეგაც, უახლოეს პერიოდში აპირებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ.**

## „გაურკვევლობაში ცხოვრება"

**გალის რაიონში დაბრუნებული ქართველების უფლებრივი მდგომარეობა უმძიმესია. ასეთი დასკვნა ორგანიზაცია Human Rights Watch-ის ანგარიშშია დაფიქსირებული. 71-გვერდიანი ანგარიშის სახელია „გაურკვევლობაში ცხოვრება".**

**ანგარიშის მიხედვით, ამ დროისთვის გალის რაიონში 47 ათასი ადამიანია დაბრუნებული, რომლებმაც სახლები 1992-1993 წლების კონფლიქტის დროს დატოვეს. ირღვევა მათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, რის გამოც ისინი იძულებულნი არიან, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ. ეს კი შორეულს ხდის მთლიანად აფხაზეთში დევნილების დაბრუნების პერსპექტივას.**

**დოკუმენტის ავტორთა განცხადებით, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება განზრახ არღვევს გალის რაიონის ქართველების გადაადგილების თავისუფლებას, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, ასევე სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს. ორგანიზაციის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების დირექტორის რეიჩელ დენბერის განცხადებით, აფხაზეთის საერთაშორისო არაღიარების მიუხედავად, დე ფაქტო ხელისუფლება არ თავისუფლდება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის ვალდებულებისგან.**




**ანგარიში ძირითადად ეფუძნება ასზე მეტ ინტერვიუს, რომელიც გალის რაიონის მოსახლეობასთან, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და იქ მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებთან არის ჩაწერილი.**

**დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2008 წლიდან აფხაზური პასპორტი აუცილებელია სახელმწიფო სექტორში მუშაობის დასაწყებად, არჩევნებში მონაწილეობისთვის, ატესტატის მისაღებად, ქონებრივი გარიგებებისა თუ ადმინისტრაციული საზღვრის გადასაკვეთად. თუმცა, ამ პასპორტის აღების პროცედურა დისკრიმინაციული ხასიათისაა იმ ქართველების მიმართ, რომლებიც გალის რაიონში დაბრუნდნენ.**

**ანგარიშის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ, რომ ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასასვლელად დაკავების, ჯარიმის ამ თავისუფლების აღკვეთის რისკის ქვეშ, გალელი ქართველები აფხაზური პასპორტების არქონის გამო ხშირად შემოვლითი ბილიკებით გადადიან.**

## დევნილების გასახლების მეორე ეტაპი იწყება?

**უზნაძის 38-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან ცხინვალიდან დევნილ 10-მდე ოჯახს ორშაბათს გაასახლებენ .**

**როგორც დევნილები აცხადებენ, მათ განსახლების სამინისტროდან უკვე მიიღეს წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შენობა, რომელშიც დევნილები ცხოვრობენ, სახელმწიფოს კუთვნილებაა და არ წარმოადგენს კომპაქტური ჩასახლების ადგილს.**

**სამინისტროს დოკუმენტის მიხედვით, დევნილებს შენობის დასაცლელად 10-დღიანი ვადა აქვთ, რომელიც ორშაბათს იწურება. თუ დევნილები ორშაბათამდე არ დაცლიან შენობას, პოლიცია მათ იძულების წესით გაასახლებს.**




**განსახლების სამინისტრო დევნილებს ალტერნატიულ ფართებს სთავაზობს გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, ლაგოდეხის, ჩხოროწყუსა და ზუგდიდის რაიონებში.**

**დევნილები ამბობენ, რომ ისინი ცხინვალიდან არიან და არ წავლენ სამეგრელოში საცხოვრებლად.**

ჯი-ეიჩ-ენი

**მეგობარმა სიტყვამოსწრებულად მითხრა: „სულ რომ გაიძახიან, ოპოზიციას ლაყბობის ფაღარათი სჭირსო — არ არის სწორი, ეს მხოლოდ შედეგია. მთავარი მიზეზი კი მათი აზროვნების შეკრულობაშია...“. „კარგი — არ შევეწინააღმდეგე მე — ნაციონალებზე რაღას იტყვი?“. დაფიქრდა და სევდიანად გამიღიმა: „ეჰ, ეგენი, ასე მგონია, არასდროს ტირიან...“. მწარე სიმართლე იყო, ერთი შეხედვით, ზედაპირულ ირონიაში... მაგრამ, ამ სამწუთიანმა საუბარმა დამაფიქრა.**

დემოკრატია რთული, მაგრამ მშვენიერი საგანია... მართალია, მოსწავლეები სხვადასხვანაირნი არიან და ზოგიერთისთვის ეს მეცნიერება აუთვისებელია — ადამიანები ხომ სხვადასხვანაირად არიან მოწყობილნი...

ზოგადად ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მთავარი ნაკლი გაუნათლებლობაში, თავმოწონებასა და თავდაჯერებულობაშია.

პოლიტიკოსობა ისეთივე კონკრეტული და სპეციფიური პროფესიაა, როგორც ნებისმიერი სხვა. ამასთანავე, ის მეტად რაციონალური, ყოველნაირი სიზუსტის მომთხოვნი, უემოციო ხელობაა. ხატოვნება, ემოციები, შემოქმედებითი ხედვა — პოლიტტექნოლოგების პრეროგატივაა. პოლიტიკოსი მათ რეკომენდაციებს მიჰყვება ხოლმე და ღმერთმა დაიფაროს ის პოლიტტექნოლოგიური თვითშემოქმედებისგან. ის კი, ვინც არაფრად აგდებს კაცობრიობის მიერ აღმოჩენილ და პოლიტიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებულ მეთოდიკებს — საზოგადოებისთვის ფრიად მავნე მატრაკვეცაა.

მხოლოდ პოლიტიკური მადა საკმარისი არაა — ნებისმიერი პარტიისთვის გარკვეული პოლიტტექნოლოგიის გამოყენების გარეშე ყოველნაირი აქტიურობა არა მხოლოდ ფუჭია — ის საზოგადოებრივად საშიშიცაა. ხელისუფლება ყველაზე მძიმე ნარკოტიკია. თუ ამას დავურთავთ „პოლიტიკური ბულემიის“ სენს — სურათი მძიმდება, ამასთანავე თუ „ავადმყოფს“ პროფესიული კომპეტენციის უკმარისობა აღენიშნება — ის დამთავრებულია როგორც პოლიტიკოსი.

როგორც უკვე აღვნიშნე, პოლიტტექნოლოგიის ხელობა პოლიტიკის თანმხლები და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროფესიაა. ის შეიძლება შევადაროთ გრამატიკას, მართლწერას, როგორც მწერლობაში ყოველივეს სათავეს. გრამატიკულად გაუმართავი არც მეტყველებაა სასიამოვნო, სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოები კი ნამდვილად ვერ შეიქმნება... ასეა პოლიტიკაშიც. სამწუხაროდ ქართველი ოპოზიციონერების ტრადიციული შეცდომაა, მიიჩნიონ პოლიტტექნოლოგია იმდენად იოლ, მეორეხარისხოვან საქმედ, რომ ან თვითონ ხელს ჰკიდებენ მას, ან ავალებენ მათი გუნდის რომელიმე წევრს, ისეთივე დილეტანტს, როგორებიც თვითონ არიან. ამრიგად, ქართულ ოპოზიციას უნარი არ შესწევს იმოქმედოს პოლიტტექნიკური ხელობის თუნდაც პირველი კლასის დონეზე.

ოპოზიციის 99 პროცენტმა არ იცის, რომ პოლიტიკური პროგრამა, ან დეკლარაციები და აგიტაცია, არ საჭიროებს საზოგადოების მიერ ლოგიკური თვალსაზრისით გაგება-გააზრებულ მოწონებას — საკმარისია, რომ ყოველივე მხოლოდ შთამბეჭდავი იყოს. ინტელექტუალური მოწონება და შთამბეჭდაობა თვისობრივად განსხვავდებიან — აქ საჭიროა პოლიტტექნოლოგიური შემოქმედება. აგრეთვე ამ 99 პროცენტს არ ესმის არქეტიპის მნიშვნელობა და მისი ამორჩევის გადამწყვეტი როლი. ოპოზიციის დილეტანტიზმი უგულებელყოფს ისეთ ანბანურ პოლიტტექნოლოგიურ ცნებებს, როგორებიცაა: ადამიანთა ნაკადობის გათვლა, აქციების ტემპო-რითმიკა, ვიზუალურ-აუდიალური ზემოქმედების დიფერენცირება. განვმარტავ: ჩვენი ვაიოპოზიცია გასაოცარი სიჯიუტით საზოგადოებას ლოგიკაზე გათვლილ აუდიალურ ინფორმაციას აწვდის, რომლის აღქმა შეუძლია არა უმეტეს 20 პროცენტისა. ამავე დროს, ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტი ვიზუალია და მათთვის მკვეთრი, ხატოვანი ვიზუალური ზეგავლენა გაცილებით ეფექტურია. წინასაარჩევნო პროგრამაც, რასაკვირველია, საჭიროა (თუკი ის მართლაც პროგრამაა და არა უპასუხისმგებლო PR-დაპირებებიძ. პროფესიონალმა იცის — ირჩევენ არა ლოგიკით, არა ანალიზის შედეგად — პრაგმატულად, არამედ არაცნობიერი სიმპათიის, ნდობის და პირადი უშიშროების იმედის საფუძველზე. ამომრჩეველში კი სიმპათია, ნდობა და პირადი უშიშროების შეგრძნება, სხვა პოლიტიკურ ილეთებთან ერთად, გარკვეული სახის („არქეტიპის“ძ შექმნის შედეგად ყალიბდება. ეს ყველაფერი თავს იჩენს მხოლოდ კენჭისსაყრელ ჯიხურში, როდესაც ამომრჩეველი სრულიად მარტო რჩება საკუთარ არაცნობიერთან „ერთი ერთზე“. დღევანდელ პრაქტიკაში კი, უფრო ხშირად, რას ხედავს ამომრჩეველი? საშუალო ასაკის, დინჯი გამოხედვის, ჯანმრთელ, მაძღარ ადამიანს. მთლიანობაში მისი რაკურსი, პოზა, სახის გამომეტყველება გამოხატავენ ერთგვარ შინაგან კმაყოფილებას, საკუთარი მნიშვნელობის, პრესტიჟულობის გრძნობას. სტატიკური რაკურსი მიანიშნებს შინაგანი დინამიკის არარსებობაზე... ჯამში კი ამომრჩეველში გულგრილობა ისადგურებს. რას გრძნობს ხშირად ამომრჩეველი სტენდზე, ტელეეკრანზე თუ პრესაში კანდიდატის დანახვისას? ის გრძნობს მისი პრობლემებისგან დაშორება-დისტანცირებას. ინერტული პორტრეტული გადაწყვეტა ამომრჩეველში, გარკვეულ სახეს არ აყალიბებს — კანდიდატი, ამომრჩევლის გონებასა და შეგრძნებაში, „უსახელოდ“ რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიმე ნიშნულის და სახიერების გარეშე ადამიანში ჩნდება გულ-

# რა ოპოზიციაც გვყავს, მისი შესატყვისია ხელისუფლებაც



გრილობა, ემოციურ პიროვნებაში კი შესაძლოა გაღიზიანებაც კი გაჩნდეს.

**არ არის სახე — არ იქნება ვიზუალური რიგი; არ არის ვიზუალური რიგი — ვერ მივიღებთ საკვანძო სლოგანებს.**

დილეტანტიზმი პოლიტიკაში არა მარტო ლოკალური პოლიტიკური დაჯგუფების სისუსტეა, ის მავნეა მთელი პოლიტიკური სპექტრისათვის, და ამდენად საზიანოა ქვეყნისთვის.

ეს შესავალი ეხებოდა გაუნათლებლობის და უმეცრობის „პირველ საფეხურს“, საიდანაც სათავეს იღებენ სხვა, უფრო მასშტაბური და გაცილებით მნიშვნელოვანი საზიანო მოვლენები.

არჩევნები, პოლიტიკური პარტიები — ზოგადად ჩვენი პოლიტიკური სპექტრი... რატომ, რა მიზეზითაა გამოწვეული მისი არამდგრადი, თუ შეიძლება ითქვას, „ბროუნისეული მოძრაობის“ მსგავსი მდგომარეობა და, ამრიგად, მის მიმართ საზოგადოების გარკვეული გაღიზიანებაც?

ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში მოქმედებს, თუ შეიძლება ითქვას, გარკვეული „ბუნების წესი“ — ხელისუფლებაში მოსული გუნდი ხასიათდება: პრაგმატულობით და განუკურნებელი ჟინიანი ძალაუფლების სენით — დავარქვათ მას „პოლიტიკური ბულემია“; ოპოზიცია კი — დოზირებული გულღიაობით, რომანტულობით და თანამიმდევრული ქცევით. როდესაც სახელისუფლებო გუნდი აგებს არჩევნებს, ის ოპოზიციის თვისებებს იძენს — გულღიაობას, რომანტულობას და თანამიმდევრულ ქცევას. ხოლო ოპოზიცია კი პირიქით — პრაგმატულობას და „პოლიტიკური ბულემიის სენით“ დაავადებას. ეს მონაცვლეობა ერთგვარად მთელ პოლიტიკურ სისტემას აწონასწორებს. ჩვენი სახელისუფლებო გუნდი ამ სქემაში თითქოს და ჯდება, ოპოზიცია კი — სრულიად არა. ვფიქრობ, რომ ამის მიზეზია პოლიტიკური სპექტრის თავაშვებულობა და უმწიფრობა. ოპოზიციის უუნარობა და უბადრუკობა აქეზებს, მისი სისუსტე თავისებურად ანებივრებს კიდეც ხელისუფლებას და ამით ხრწნის მას. შედეგად კი ხელისუფლებას (ძალაუფლების სიყვარულით სრულიად კანონზომიერად „დაავადებულ“ წარმონაქმნსძ, უგროვდება ცინიკური ვოლუნტარიზმის პოტენციალი, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ოპოზიციის დეგრადაციას. ამასთანავე, ამ ორის თვითდამანგრეველი ურთიერთქმედება ნეგატიურად მოქმედებს მთლიანად საზოგადოებაზე... ასე „წრეზე გაუთავებელი ტრიალი“ გვაძლევს: იდეურ სიღატაკეს; პოლიტიკური ხედვის სივიწროვეს და, აქედან გამომდინარე, ოპოზიციაში ემოციურობით შეზავებულ დილეტანტიზმს, ხელისუფლებაში ზღვარგადასულ რევოლუციონიზმს, საზოგადოების ერთ ნაწილში არათანამიმდევრულ, ქაოსურ პროტესტს, მეორე ნახევარში კი — ნევროზულ აპათიას. ოპოზიციის დეგრადირება ნათლად ჩანს ორი ცნების — მიზნის და საშუალების — აღრევაში. კლასიკურ დემოკრატიაში, როგორც წესი, სახელმწიფოს და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესობაა ოპოზიციის მიზანი, ხოლო სისტემის ამა თუ იმ გზით გაუმჯობესება — საშუალებაა. უადგილოდ გამომივიდა კლასიკური დემოკრატიის ხსენება: საქართველოში ჯერ კიდევ ხელისუფლების და მასთან ერთად სახელმწიფოს მოშლა-დანგრევა მიიჩნევა მიზნად, ხოლო საშუალებად, ისევ და ისევ, რადიკალური გადასხვაფერება-მოშლა იგულისხმება...

„წრეზე ტრიალი“ არ ნიშნავს საწყისი მიზეზის არარსებობას — რომ არა ოპოზიციის გულდამამძიმებელი დილეტანტიზმი, წრეც არ შეიკვრებოდა და დანარჩენი მონაწილენიც (ხელისუფლება და საზოგადოების ყველა ფენაძ, უფრო ადეკვატურ, შერაცხად მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.

**„წრე დაირღვევა“ ახალი, ინტელექტუალური და პროფესიონალური ოპოზიციის გაჩენისთანავე.**

დრო არ ითმენს. ჩვენ გვსურს გავუტოლდეთ ევროპას — ვჩქარობთ... ევროპაც გვამოწმებს და ზოგჯერ გვაქებს, გვახალისებს. ისიც ხდება ხოლმე, რომ საქართველო მიღებულ მსოფლიო სტანდარტებს გადაუსწრებს და უხარია... ასეთ აღტკინებას არ სჭირდება სკეპტიციზმი ან სარკაზმი, პირიქით — სწორი მიმართულებით წაქეზებაა სასურველი... ცდა ბედის მონახევრეაო — ვცადოთ:

პოლიტიკური პარტიის რეგისტრირებისთვის, ოფიციალურ წევრთა გარკვეული რაოდენობაა საჭირო. არის თუ არა ეს ადამიანის თავისუფალი აზროვნების, ამ აზროვნების თავისუფლად გამოხატვის, სიტყვის თავისუფლების, შეკრებების თავისუფლების, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების შეზღუდვა? ხომ არ იქნებოდა სამართლიანი და ლოგიკური ეს შეზღუდვები გაუქმდეს?

დავუშვათ, რომ სამ ადამიანს გაუჩნდა სურვილი შექმნას პარტია (ერთზე მეტი უკვე მრავლობითია და პარტიის ცნებას შეესაბამებაძ. წმინდა ინფორმაციული მიზნით ამ სამს უნდა შეეძლოს განაცხადოს სათანადო უწყებაში, დარეგისტრირდნენ და დაიწყონ საზოგადოებაში მათი იდეების გავრცელება-პოპულარიზაცია. შესაძლოა, რაღაც დროის შემდეგ, მათ გამოუჩნდნენ გულშემატკივარნი, თანამოაზრენი — თანაპარტიელები... ან სულაც ისიცაა შესაძლებელი — თანაპარტიელების გარეშე, მათი იდეები საზოგადოების ნაწილმა აიტაცოს და არჩევნებში მათ პარტიას ხმა მისცეს.

დავფიქრდეთ, მკრეხელობად ნუ ჩავთვლით: წარმოვიდგინოთ, რომ მაცხოვარიც ჯერ მარტო იყო ადამიანთა შორის, მერე მისი მოწაფეები გამოჩნდნენ და ამით ის ეტაპი დასრულდა, მაგრამ მის სიტყვას ადამიანთა უზარმაზარი მასა გაჰყვა... ეს მასა ელექტორატის ანალოგიად შეიძლება ჩავთვალოთ. ერთი მასწავლებლის და მხოლოდ თორმეტი მოწაფის „იდეებმა“ შეცვალეს, „გადააბრუნეს“ სამყარო. ჩვენს დროში, ზემოთ ხსენებული, რეგისტრირების შეზღუდვების გაუქმებას ხელისუფლებაში და ოპოზიციაში აუცილებლად დიდი წინააღმდეგობა გაუჩნდება, მაგალითად, ასეთი დასაბუთებებით: „თეორიულად არის საშიშროება იმისა, რომ კატასტროფულად ბევრი პარტია გაჩნდეს, ესე იგი სრულწლოვან მოქალაქეთა ერთი მესამედი!; ტექნიკურად ამდენი პარტიის რეგისტრირება შეუძლებელია!; ცნობილია — სახელმწიფო გასცემს დოტაციებს პოლიტიკური პარტიების სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად — ეს საშინელება იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვის!; საარჩევნო ბიულეტენების ჯერ დაბეჭდვა და შემდგომ ამომრჩევლების მიერ მათი წაკითხვა ქაოსამდე მიიყვანს ქვეყანას!“ და ა.შ. ასეთ დასაბუთებას, რასაკვირველია, საპასუხო მტკიცებულებებიც გააჩნია, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: რატომ და რა მიზეზითაა მოსალოდნელი ხელისუფლების და ოპოზიციის ერთობლივი ნეგატიური რეაქცია? ადამიანის თავისუფალი აზროვნება, ამ აზროვნების თავისუფალი გამოხატვა, სიტყვის თავისუფლება, შეკრებების თავისუფლება, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება თუ თავისუფალი, პოლიტიკური კონკურენტობა არ აწყობთ? ყველაფერი აწყობთ, გარდა სამართლიანი კონკურენტობისა! მათ ზურგს გაუმაგრებს საზოგადოებაც, რომელშიც, დარწმუნებული ვარ, ეს მოსაზრება ჯერ გაკვირვებას, მერე ირონიას გამოიწვევს. არცაა გასაკვირი ხელისუფლების, ოპოზიციის, საზოგადოების ერთობლივი კრიტიკის მიზეზი ერთია: ერში საბჭოურობა ჯერ კიდევ მყარადაა გამჯდარი, თანაც ისე, რომ ჩვენ თვითონ ამას ვერ ვამჩნევთ. ღრმად მოკალათებული ეს ავადმყოფობა შეპარულად „აკონსერვებს“ პოსტსაბჭოთა მენტალობის ნარჩენებს, ამახინჯებს ჩვენს წარმოდგენას დემოკრატიაზე, როგორც ოფიციალურ დონეზე, ისე თითოეული ადამიანის ფსიქიკაში. ამ ფარული სენისგან განკურნებისთვის ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგალითად: საბჭოთა პერიოდის ღრმა მეცნიერული შესწავლა, როგორც ჩვენი ისტორიის ნაწილისა (ჩვენ დღემდე ვკმაყოფილდებით „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმით“ და ვერბალურ დონეზე პოპულისტური შეძახილებითძ; დღევანდელი რეალობა მოითხოვს კონსტიტუციურ დონეზე შეიქნას სახელმწიფო პოლიტიკის ფუნდამენტალური დეკლარაცია, სადაც ასახული იქნება რიგი მკაფიოდ დაფიქსირებული დოქტრინებისა.

მოსაზრება პოლიტიკური პარტიების შექმნის გაადვილებაზე შეიძლება ჩაითვალოს, ჩემი მხრიდან, ერთგვარ პროვიცირებად — საზოგადოების გამოფხიზლებისთვის მრავალი ხერხი არსებობს...

„დღევანდელი რეალობა მოითხოვს“ — ვახსენე... სამწუხაროდ მეტად ბევრს მოითხოვს ეს ჩვენი რეალობა. პირველ რიგში კი თვითაღქმას და თვითშეგნებას: ვინ და რანი ვართ? გვაქვს თუ არა სამშობლოს და სახელმწიფოს ერთიანი განცდა? ჩვენი მოქალაქეობა ფორმალური ფაქტია, თუ ჩვენი „ნერვიული სისტემით ნაკარნახევი“ სამშობლო-სახელმწიფოს განცდის თანხლები ნაწილია?

თუმცა, ყოველივე ეს „ნიადაგის მომზადებას“ საჭიროებს, რაც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების (ხელისუფლების, ოპოზიციის, მათი გულშემატკივრების და ნეიტრალური მოქალაქეებისძ, სხვაგვარ განწყობას და ხარისხობრივ ცვლილებებს ნიშნავს... მანამდე კი რეალობა ასეთია: **როგორი ოპოზიციაც გვყავს, მისი შესატყვისია ხელისუფლებაც.**

**მალხაზ ჟვანია,**
**ექსპერტი, საინფორმაციო პოლიტიკა, პოლიტტექნოლოგიები.**



ოსტატი და შეგირდი – ზურაბ წერეთელი, ვაჟა ოქიტაშვილი

# საქართველოს ხასხასა ფერები

## ვაჟა ოქიტაშვილი –

თვითნასწავლი მხატვარი,
რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი
კავშირისა და მხატვართა
საერთაშორისო ფედერაციის წევრი





# სიხარულის მომნიჭებელი ხელოვნება

რა სადად და შთამბეჭდავად ბრძანა ჩვენმა გენიალურმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა: ხელოვნების მიზანი უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა!

მართლაცდა, თეატრი, მუსიკა, მხატვრობა, ქორეოგრაფია, სიმღერა და ასე შემდეგ, მხოლოდ მაშინ არის ღირებული, როცა თავისი უბრალოებითა და სისადავით „სულში გიძვრება“ და სიხარულს განიჭებს.

ვაჟა ოქიტაშვილი ჩუმი, უპრეტენზიო შემოქმედია, თუმცაღა, თავისი ხალასი ნიჭით, ერთი ამოსუნთქვით შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ტილოებით, ბოლო ხანს ისე გახმაურდა, მოყვარეს გული გაუნათა, მტერს კი...

გამორჩეული ფსიქოლოგიისა და შინაგანი კულტურის მქონე ქართველმა ვაჟა ოქიტაშვილმა... ცხოვრების ათას მორევში რომ წმინდად გააღწია, სამშობლოს ჭირ-ვარამი რომ კარგად გაითავისა, მხოლოდ მერე, 40 წლის ასაკში მიანდო ფუნჯს საკუთარი სულიერი განცდები. როგორც ყველა თვითნასწავლი მხატვარი, ისიც იმას წერს, რასაც უფალი ჩააგონებს; ბავშვობის მოგონებები, წინაპართა სულები, საქართველოს განუმეორებელი პეიზაჟები შეახსენებს... „პრიმიტივისტი“ მხატვარი განუმეორებელი ფერების დიდოსტატია, მოსკოვში საყოველთაო აღიარება მოიპოვა, აღაფრთოვანა მეგობრები, კოლეგები, რიგითი დამთვალიერებელი...

მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ამ რამდენიმე თვის წინათ გამართული მისი პერსონალური გამოფენა ქართველთა სათვისტომოს, რუსეთში ქართველთა კავშირის თითქმის ყველა წევრმა ნახა.

ვაჟა ოქიტაშვილის წარმატება გულწრფელად გვახარებს თბილისელ გულშემატკივრებსაც. მართალია, წარსული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბაჯაღლო ნიჭის მქონე თვითნასწავლი მხატვარი სამშობლოში იშვიათად ჩამოდის, მაგრამ... ხელოვნებას საზღვრები არა აქვს... კარგი ნახატი სადაც არ უნდა შეიქმნას, ის, უპირველეს ყოვლისა, მშობელი ქვეყნის საკუთრებაა.

მხატვრის შემოქმედების შესაფასებლად იმის აღნიშვნაც კმარა, რომ რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, მსოფლიოში აღიარებულმა მხატვარმა ბატონმა ზურაბ წერეთელმა საკუთარ სახელოსნოში გამოაწრთო მოწოდებით ნამდვილი შემოქმედი, უმეგობრა მას და დიდ ასპარეზზე გაიყვანა...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად მიესალმება თვითნასწავლ მხატვარს ვაჟა ოქიტაშვილს და სიამოვნებით უთმობს ადგილს მის შემოქმედებას.

**სპარტაკ ქოზულია**



2011 წლის 26 აპრილს, მოსკოვში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ვაჟა ოქიტაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელმაც შემოქმედებითი წრეების აღფრთოვანება გამოიწვია.

„თანამედროვე მუზეუმის ორ სართულზე, სადაც წარმოდგენილი იყო გამოფენა, — წერს მოსკოვის პრესა, — ჩვენ პირველად მოსკოვის ცივი დღეების შემდეგ, შევიგრძენით სიახლე, გაზაფხულის ნედლი სურნელი და განწმენდა, რომელიც ყოველთვის თან სდევს გაზაფხულის შემოსვლას, თითქოს დარბაზებში შემოვიდა გაზაფხული, ვაჟა ოქიტაშვილის გაზაფხული“.

ვაჟა ოქიტაშვილი დაიბადა თბილისში, 1952 წლის 17 ივლისს, ბავშვობა დედულეთში ძეგვში გაატარა, თავისი ბიძის, თვითნასწავლი მხატვრის მიხეილ სოლოღაშვილის გარემოცვაში. აქ ეზიარა პირველად ხალას მხატვრულ გემოვნებას, ქართული ბუნების სილამაზესა და ფერების შეგრძნების უნარს.

ორმოცი წელი დასჭირდა, რომ გაებედა ფუნჯის ხელში აღება. გარდატეხა XX ს. 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა საცხოვრებლად მოსკოვში გადადის და ბედისწერის კარნახით ზურაბ წერეთლის სახელოსნოში, ფერწერული ტილოებითა და გრაფიკული ნამუშევრებით შექმნილ ზღაპრულ, სამხატვრო სამყაროში ხვდება.

ამ გარემომ, წლების მანძილზე ზურაბ წერეთელთან, მის შემოქმედებით მუშაობასთან სიახლოვემ თითქოს ქვეშეცნეულად გააღვიძა მასში ჩადებული გენეტიკური კოდი და ფერებში დაანახა სამყარო. თავდაპირველად მალულად, საკუთარ პალიტრასთან პოულობდა შვებას. „თავს მხატვარს ვერ ვუწოდებ, ეს უბრალოდ ჩემი ჰობიაო“, თავმდაბლურად აცხადებს და სამშობლოსთან, ოჯახთან განშორების ნოსტალგიას მოლბერტთან მუშაობისას იქარვებს. მის მხატვრულ ცნობიერებას მოგონებები ასაზრდოებს: ქართლის სანახები, მთის პეიზაჟები, მთისა და ბარის დასახლებები, მშობლიური ბაგები, თბილისი, საყვარელი და ნაცნობი სახეები... ამდენად, არცაა გასაკვირი, რომ მთელი მისი შემოქმედება სამშობლოს თემაზეა აგებული. მისი ესთეტიკური სამყაროც ისევე სადაა და ხალასი, როგორც თვითონ. მისი პალიტრა აცოცხლებს ქართველებში ძველთაგან გავრცელებულ ცისფერს (სოსანს), ლურჯს, ნარინჯისფერს, ალუბლისფერს, მოლისფერს, ვარდისფერს და ყავისფერს, რომლებიც მის ნამუშევრებში ხასხასა ფერების სინთეზში გარდაიქმნება და ბუნებრიობის განცდას იწვევს.

ვაჟა ოქიტაშვილის შემოქმედება განსხვავდება აკადემიური ნორმებისგან. მას არ მიუღია პროფესიული განათლება. როგორც პრიმიტივისტისთვის, მისი ესთეტიკური სამყაროც არახელოვნურია და თავისუფალი, მხატვრულად ისე წარმოსახავს ნახულსა და განცდილს, როგორც მეხსიერებას შემორჩა. ამდენად, მისი ნამუშევრები ეთნოგრაფიულადაც საინტერესოა, რადგან გასული საუკუნის ქართული სოფლისთვის დამახასიათებელ დასახლების ტიპსა და ყოფის ელემენტებს ემპირიული ცოდნით აცოცხლებს.

ვაჟა ოქიტაშვილმა შეძლო საკუთარი ხელწერის პოვნა, მხატვრული წარმოსახვის საკუთარი მანერისა და ფერწერითი ტექნიკური ხერხების მიგნება, რაც შესანიშნავად გამოიყენა პირადი განცდების გადმოსაცემად.

ვაჟა ოქიტაშვილის საქართველო, ფერად ყვავილებსა და ბუნებრივ, ხასხასა სიმწვანეში განსხეულებული ოაზისია, ხოლო მასში წარმოსახვით, მჭიდროდ განფენილი საცხოვრებლები, ფერადი კვადრატების სახით, ქართული სოფლების ხალხმრავლობის სიმბოლო.

ეს წერილი ჩემი პირადი შთაბეჭდილებაა, ეთნოლოგის თვალით დანახული. ვაჟა ოქიტაშვილმა უკვე მოიპოვა სახელი შემოქმედებით წრეებში, რაც ქართული გენის აღიარების კიდევ ერთი ნიმუშია.

**თამილა ცაგარეიშვილი,**
პროფესორი, ეთნოლოგი.









## როცა სათქმელს გული ველარ იტევს

# გოგოლის პელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის უნიტაზი და წისქვილის ვირები

ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტს ესაუბრება თვალსაჩინო ქართველი პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო, გიორგი ლეონიძის, ნიკო ნიკოლაძის და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი **შოთა ზოიძე.**



(მარცხნიდან) თამაზ ჭილაძე, გურამ გოგიაშვილი, შოთა ზოიძე.

დემიკო ლოლაძის ფოტო

**— ბატონო შოთა, დასაწყისშივე უნდა გავექცე 26 მაისის ტრაგიკულ მოვლენებს და საუბარი თავისუფალ თემაზე დავიწყო: რას ფიქრობს პოეტი შოთა ზოიძე თანამედროვე პოეზიაზე, რა არის თქვენთვის პოეზია?**

— რადგან შეკითხვა ორნაწილიანია, თქვენი ნებართვით, ბოლოდან დავიწყებ. პოეზია ჩემი საიდუმლო და საიმედო თავშესაფარია. მე იგი მიცავს გარესამყაროსაგან თავსმოხვეული უარსაყოფი ტენდენციათაგან, გასაქანს არ აძლევს ეშმაკს, გნებავთ სატანას, რომელიც მარცხენა მხარზე მაზის. იგი ჩემთვის ის არის, რაც მე ვარ მისთვის. პოეზიაში სნობიზმი არ არის ჩემი სტიქია. ადრეც მითქვამს, ერთი შუათანა მწერალი ვარ-მეთქი. მე იმ სკოლის მოწაფე ვარ, რომელშიც ლექციებს კითხულობენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჭილაძე, ალექსანდრე მეჟიროვი, ანდრეი ვოზნესენსკი, იური კუზნეცოვი.

**— კიდევ დაგისვამთ ერთ თავისუფალ კითხვას: მწერლობა განთავისუფლდა საბჭოთა ცენზურისა და სოციალისტური რეალიზმისგან. როგორ აისახა ეს ბოლო წლების ლიტერატურულ ცხოვრებასა და პირადად თქვენზე?**

— სოციალისტური რეალიზმისგან კი გათავისუფლდა, მაგრამ, სააკაშვილის დიქტატურა დაგვატყდა თავს. მე არ გახლავარ ის მწერალი, რომელიც უმალ დაეუფლება მოდურ სახეებს. არც ისე გულმავიწყი ვარ, რომ წარსულსა და დღევანდელობას შორის პარალელი ვერ გავავლო. საბჭოთა რეჟიმის დროს, რასაკვირველია, შეეძლოთ დაეჭირათ მწერალი, მსახიობი, რეჟისორი, მეცნიერი, მაგრამ ყვაოდა მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება. ახლა მწერალს და მეცნიერს შიმშილით კლავენ, არც იჭერენ და არც ხვრეტენ, მაგრამ კლავენ მწერლობას, ხელოვნებას, მეცნიერებას. ეს აზრი, რომელსაც მთლიანად ვიზიარებ, დიდებულ ვახტანგ გოგუაძეს ეკუთვნის. მსოფლიო პროზის მწვერვალი მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“ სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიის დროს დაიწერა. იგი XX საუკუნის 20-იან წლებში იქმნებოდა. გავიდა ოცი წელი, გავა კიდევ ოცჯერ ოცი, მაგრამ „წყნარ დონს“ ვერავინ და ვერაფერი შეეტოქება. იგი შექმნა გენიალურმა ტალანტმა და ქვეყნის მაშინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა. რატომ ვერაფერი დაწერეს მსგავსი სსრ კავშირიდან უცხოეთში ემიგრირებულმა მწერლებმა?! სიმართლე თუ გინდათ, საბჭოთა საქართველოში აყვავდა მწერლობა და მეცნიერება, აყვავდა კულტურა, რომელსაც ახლა სააკაშვილის რეჟიმი კლავს. კარს მომდგარი ომის წლებში, როცა ყოველი კაპიკი თავდაცვის ფონდში მიდიოდა, 1941 წლის თებერვალში შეიქმნა და დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ახლა ხელისუფლებამ მოახერხა მისი დანგრევა. მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, ირაკლი აბაშიძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, ნოდარ დუმბაძე განა მაშინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა კლიმატმა არ დაბადა?! რა შექმნეს ამათი ნაწარმოებების დარი უცხოეთის „უცენზურობის“ პირობებში გრიგოლ რობაქიძემ და სხვა ემიგრანტებმა?! ახლა რუსეთის სკოლებში ასწავლიან სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგს“ და არ ასწავლიან ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, გოგოლის „მკვდარ სულებს“. ჩვენთან ხმარებიდან ამოიღეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. აღარ ისწავლება რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, ილიას – „ჩემო კარგო ქვეყანავ“, აკაკის – „სულიკო“.

**— ჩვენი პოლიტოლოგები, მიმომხილველები თუ ექსპერტები საპირისპიროს ამტკიცებენ. მათი აზრით, სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიამ ჩაკლა შემოქმედებითი ნიჭი და პათოსი.**

— ნიჭის ჩაკლა შეუძლებელია. ჩვენი პოლიტოლოგები და ექსპერტები მე მაგონებენ გოგოლის პელაგეას, რომელსაც ერთმანეთში ერეოდა მარცხენა და მარჯვენა. სწორედ, ისინი აზროვნებენ სოციალისტური იდეოლოგიის სქემებით, როგორც ბრეჟნევის ეპოქაში ჩარჩენილები, ისეთი ეპითეტებით ამკობენ დიქტატორ სააკაშვილს, ილია ულიანოვის ვაჟსა და რეგვენ ნიკიტა ხრუშოვსაც კი შეშურდებოდათ. მათი უმეტესობა ხელისუფალთა წისქვილზე უშვებს წყალს. ერთმანეთს შეადარეთ ახლანდელი და სტალინური ეპოქის „ლიტერატურნაია გაზეტა“ და დარწმუნდებით, რისგან რა გათავისუფლდა. ჩვენი „ლიტერატურული საქართველო“ საერთოდ დაიხურა. რასაც ახლა პირველი არხი „იმედი“ და „რუსთავი-2“ კადრულობენ, ამას 80-იანი წლების არც ქართული ტელევიზია და არც პრესა ახლოსაც არ გაიკარებდნენ. რა ნამუსით ლაპარაკობენ „იმედის“ ჟურნალისტები დემოკრატიაზე? რატომ ავიწყდებათ თავიანთი არხის ფაშისტური დარბევა სააკაშვილის მიერ. ნუთუ აღარ ახსოვთ, სადისტურად რომ ჩეხავდნენ ხელკეტებით მათ კოლეგებს ნიღბიანი სპეცნაზელები და უმოწყალოდ გაანადგურეს ძვირადღირებული ტექნიკა?! „იმედის“ ჟურნალისტები და მათი დამარბეველი სპეცნაზელები, როგორც ვხედავთ, ეროვნულ თავმოყვარეობას მუნდირის „ღირსებაში“ ცვლიან.

რაც შემეხება მე, მაშინაც და ახლაც ვაზროვნებდი და ვწერდი ისე, რასაც გული და გონება მიკარნახებდა. ცენზურის შიშით არაფერი „გადამისწორებია“. 70-იან წლებში მკაცრად გამაკრიტიკეს, ჩემს ლექსებს ღმერთის აპოლოგია და თეოლოგიური გადახვევა უწოდეს. მერე რა! მე კიდევ უფრო გავამძაფრე ეს თემები. მე ვეთანხმები რუს ემიგრანტ ვაკსბერგს, რომელიც უარყოფდა ცნობილ იდიომას – „არასოდეს არ თქვა „არასოდეს“. კიდევ მეტიც: დღეს ჩამოყალიბდა საკანცელარიო მწერლების, მსახიობების, ხელოვნების სხვა დარგების „ანსამბლი“, რომელიც გუნდრუკს უკმევს დიქტატორულ რეჟიმს. „ბართლომეს ღამეზე“ ფანჯრებიდან მომზირალი მოღვაწენი, 12 საათზე რიგში ჩადგნენ დიქტატორისაგან ორდენების მისაღებად. ეს კულტურის „მოღვაწეთა“ დაჯილდოება კი არა, აბუჩად აგდება და თავსლაფი იყო. წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა 9 აპრილს ორდენები და პრემიები რომ მიეღოთ გორბაჩოვისაგან ჩვენს მწერლებს?! 9 აპრილს დაღუპულები გმირებად გამოვაცხადეთ, ხოლო 26 მაისს მოკლულები თითქოს ჩვენ არ გვეკუთვნიან. ვსარგებლობ ინტერვიუთი და უნდა ჩემი წილი მადლობა ვუთხრა სახელოვან სუხიშვილებს, რომლებმაც უარი უთავაზეს სამარცხვინო ალლუმს.

**— ალლუმი ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნებოდა?!**

— საქართველოს დამოუკიდებლობას სააკაშვილმა რუსთაველზე სისხლიანი კალო მიუძღვნა. მან გორბაჩოვს და როდიონოვს მეორეჯერ ჩამორეცხა 9 აპრილის სისხლი და სირცხვილი. თუმცა ჩვენს ზოგიერთ ტელეარხს ამის გამო წარბიც არ შეუხრიათ. თანამემამულეთა სისხლიანი დარბევა აღიქვეს როგორც ხელისუფლების მორიგი „გამარჯვება“, ისე როგორც 7 აგვისტოს ომში. მთელი დღე გაიძახოდნენ – ბურჯანაძემ ხალხი მიატოვა და გაიქცაო. მას არ ჭირდება ჩემი ადვოკატობა, მაგრამ ქალბატონი ნინო არსად არ გაქცეულა, როცა მომწამლავი გაზი გაუშვეს, დაცვამ გაიყვანა მოვლენის ეპიცენტრიდან. ჩვენს ძვირადღირებულ ტელეარხებს დაავიწყდათ, როგორ ფორთხავდა მიწაზე ბრძოლის ველიდან გაქცეული მათი მთავარსარდალი. როგორც ჩანს, დემოკრატ ჟურნალისტებს სურდათ ბურჯანაძე რიგში ჩამდგარიყო მომწამლავი გაზის ჩასასუნთქად. ახლა ხელისუფალთ და მათ ჟურნალისტებს სურთ საკუთარი ცოდვა ბურჯანაძეს აჰკიდონ...

**— როგორ ფიქრობთ, აქცია რომ განმეორდეს, სააკაშვილი ისევ ესვრის თავის ხალხს?**

— ფაქტობრივად, მან უკვე ესროლა. ჯერ იყო და სვანეთის ბარბაროსული დაბომბვის დროს უდანაშაულო ასაკოვანი ქალბატონი მოკლა, მეორედ – ქუთაისში დედა-შვილი ჯინჭარაძეები დახოცა, ახლა კი – რუსთაველზე მომიტინგეები. როგორც ჩანს, ქართველი მისთვის საზარბაზნე ხორცია. ბაგრატიონიც რომ იყო, ქართველ ბავშვებს 130 წლის ჟურნალ „დილას“ რომ დაუხურავ, ქართველი აღარ ხარ. უმიზეზოდ არაფერი ხდება.

აქციები გამეორდება და პერმანენტულად გაგრძელდება. ხელისუფლებას თბილისელები დასაჭურისებული ჰგონია. ხალხი აბუჩად აგდებას არ აპატიებს. ეკერმანთან საუბარში გოეთე ამბობს, რომ ხალხის შევიწროება შეიძლება, მაგრამ დამონება – არასოდეს. ეგვიპტეში 83 მილიონი მოქალაქის წლიური შემოსავალი ერთ სულზე 6000 დოლარია, მაგრამ ხალხი უკმაყოფილებამ მოიცვა. ჩვენთან წლიური შემოსავალი 1 სულზე სასაცილოა. თანაც ჩინოვნიკების უსაშველოდ გაბერილ შემოსავლებზე მოდის. მაშინ, როცა ქვეყანაში სტიქია მძვინვარებს და ათასობით ოჯახი განსაცდელშია, სააკაშვილმა ნაფტალინიანი სტოუნის ჩამოყვანაში 5 მილიონი დოლარი გადაიხადა, ხოლო ბრაიზას მილიონი დოლარი აჩუქა. რაც შეეხება ფილმ „აგვისტოს ხუთი დღე“, 20 მილიონი დამჯდარა. რეჟისორის და მსახიობების ჰონორარს საგულდაგულოდ გვიმალავენ. ამას ნებისმიერი ქართველი რეჟისორი უკეთ გადაიღებდა...

**— ბატონო შოთა, ქართულ პოლიციას რაც უბრძანეს ის შეასრულა?**

— სწორედ ეს არის საგანგაშო. პოლიციას უბრძანეს ხალხის სისხლიანი დარბევა და „ფრიადზე“ შეასრულა. შენ რომ გიბრძანონ, შეჭამე ძაღლის ხორცს? პოლიციამ შეჭამა. ჭამა სხვა რამეც, წესიერ ხალხში რომ არ ითქმება. ასე უბრძანეს 9 აპრილს როდიონოვს და მის ჯარისკაცებს. ამ უკანასკნელმა დერეფანი მაინც მისცა მომიტინგეებს. სააკაშვილის ჯალათებმა კი ალყაში მოაქციეს. ეს მიტინგის დაშლა კი არა, სისხლიანი შურისძიება იყო. პოლიციელი, რომელიც ნონა გაფრინდაშვილს ხელჯოხს დაარტყამს, ის არც ქართველი და არც კაცია. 26 მაისს, 9 აპრილთან შედარებით, კუბში აყვანილი სისასტიკე გამოავლინა ქართულმა პოლიციამ. ძალიან ბევრი პოლიციის განყოფილებაში აწამეს, მათ შორის ბათუმელი მურმან დუმბაძეც. იგი ახლაც მძიმე მდგომარეობაშია. პარტია, რომელიც მურმან დუმაბაძეს გარიცხავს თავისი რიგებიდან, საქართველოში მისი ადგილი არ უნდა იყოს. როგორც ირკვევა, საწამებელთა სიებიც კი ჰქონიათ შედგენილი. სააკაშვილი ცრუობს, საავადმყოფოში არც ერთი მომიტინგე არ მოხვედრილაო. სპეცრაზმელები და პოლიციელები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ქართველი ერის წინაშე, ყველანი წარსდგებიან ხალხის სამსჯავროზე.

**— ვთქვათ, სააკაშვილი გადადგა, თქვენ რომელ პარტიას ენდობით, ან ვინ მიგაჩნიათ ეროვნული ცნობიერების გამომხატველ ლიდერად?**

— თუ ჩემს აზრს რაიმე მნიშვნელობა აქვს, ვიტყვი ლენინური სლოგანის საპირისპიროდ, საქართველოში არ არის ასეთი პარტია. „ოპოზიციური“ პარტიები სააკაშვილის სამსახურში დგანან. მათ ხალხს უღალატეს. ამიტომაა, რომ ამერიკა, სოროსი და სააკაშვილი გულუხვად აფინანსებენ. ისინი ჯიპებზე გადაჯდნენ და ჩინოვნიკებივით გალაღებული ცხოვრობენ. ჩემი აზრით, ნინო ბურჯანაძეს და ნონა გაფრინდაშვილს შარვლები უნდა ეცვათ და ხალხის მოღალატე პარტიების „ბელადებს“ – კაბები. ნაცმოძრაობა – ეს მოქკავშირისა და აღორძინების აშმორებული კოქტეილი, მალე წარსულის გადმონაშთი გახდება. რაც შეეხება ლიდერს, ეს ბატონი თემურ შაშიაშვილია, რომელსაც ტკივილამდე უყვარს ხალხი და სამშობლო. მე მივესალმები თუ კენჭს იყრის საპრეზიდენტო არჩევნებში. ყოველ შემთხვევაში, იგი ქართულ მიწას, ერთ გოჯსაც კი, არ გაჰყიდის. ეროვნული ცნობიერებითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, სააკაშვილი მის მოწაფედაც არ გამოდგება. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, სხვებისაგან განსხვავებით, უყოყმანოდ დადგა ხალხის მხარეზე და გამოავლინა მედგარი სულისკვეთება. სულ მალე მოვა დრო, როცა 7 ნოემბრისა და 26 მაისის მსხვერპლთა მემორიალი დაიდგმება. ისინი ვინც დღეს ბურჯანაძის დასჯას მოითხოვენ, მე და შენ მიგვასწრებენ მემორიალთან.

**— ვის გულისხმობთ?**

— შემძრა 29 მაისს პირველი არხის გადაცემამ. აგრესიას ყველაზე მეტად გაკაპასებული წამყვანი ქალბატონი ავლენდა. რა თქმა უნდა, მისი შერჩეული რესპონდენტებიც. ნუთუ ამ ხალხს არ ჰყავთ მშობლები, მეგობრები, მეზობლები, არ ჰყავთ შვილები, და-ძმები, არ აქვთ ოჯახები?! რაც შევარდნაძისა და აბაშიძის დროს უკანონო და ანტიკონსტიტუციური იყო, ახლა, დარჩიაშვილის აზრით, თურმე, ზეკონსტიტუციურია.

**— ბატონო შოთა, ცენტრალურ პრესაში თქვენი არაერთი მწვავე საპროტესტო სტატია დაიბეჭდა ბათუმში მეზობელ თურქეთის მიერ ჯამეს მშენებლობის მოთხოვნის წინააღმდეგ.**

— ჩემმა უფროსმა მეგობარმა, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ და მკლევარმა აზიზ ახვლედიანმა თურქთა ამ განზრახვას ტროას ცხენი უწოდა. თუ რატომ, ამას კომენტარი აღარ სჭირდება. მართალია, დღევანდელი თურქეთი ევროპისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ მის იდეოლოგიაში ახლაც ფიგურირებს პანთურქიზმის ნალში. უბრალოდ, იგი დროსა და მომენტს უცდის თავის ასამოქმედებლად. ჯერჯერობით კი ცდილობს ბათუმში ძეგლი დაუდგას აჭარაში მის სამსაუკუნოვან ბატონობას. დღესდღეობით თურქებმა აჭარაში გახსნეს და ფუნქციონირებს 51 მედრესე და 9 მედრესე-ინტერნატი, 180-მდე ჯამე.

იხ. 9 გვ.

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# რატომ ჩავარდა აფხაზეთში საკურორტო სეზონი

**წელს აფხაზეთმა ორი დარტყმა მიიღო: გარდაიცვალა პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში და აღარ არიან რუსი დამსვენებლები. ეს ორი სამწუხარო მოვლენა, რასაკვირველია, ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული. თუ პირველ დანაკარგს აფხაზი ხალხი შეურიგდა – შემდეგ კვირას დანიშნულია წინასაარჩევნო კამპანია და აგვისტოში აფხაზეთს ეყოლება ახალი პრეზიდენტი, აი, მეორესთან შერიგება კი მას კატეგორიულად არ სურს.**

– როდესაც გეუბნებით, შენი თვალები არ იყურებიან? – მიყვირის სახეში ანჟელა დეიდა ლაკობას ქუჩიდან გაგრაში. – ჩვენ აქ ვაჭრობა გავაჩაღეთ, პლაჟები გავასუფთავეთ, ზღვა თბილია, მწვადი გემრიელი, ნახევარი სეზონი გავიდა, თქვენ კი არ ჩამოდიხართ!

ჩემი სახით ანჟელა დეიდა საყვედურს ამბობდა ყველა რუსეთელის მიმართ, რომლებსაც შავ ზღვას სხვა ფერის ზღვა ურჩევნიათ. როგორ უნდა ამეხსნა მისთვის, რომ ერთი კვირის ტური ეგვიპტეში სამვარსკვლავიან სასტუმროში რამდენიმე ათასით უფრო იაფია, ვიდრე მისი სტუმართმოყვარეობა? სოჭამდე თვითმფრინავით მარტო ერთი მიმართულებით მე გამომართვეს 8000 რუბლი. თავისი აეროპორტი კი აფხაზეთს ჯერჯერობით არ გააჩნია.

ვერ იტყვი, რომ გაგრის ან სოხუმის ქუჩები უდაბნოს მოგვაგონებს. სეირნობენ, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში, პარკებსა და ბულვარებში ჩვენი თანამემამულეები მოკლე შორტებში. აფხაზები უკვე შეურიგდნენ ტანსაცმლის ამ სტილს. ადრე კი ფეხშიშველა მამაკაცებს კაფეებში არ ემსახურებოდნენ და მათ, ამ „უსინდისოებს“ საშინელი სიტყვებით ლანძღავდნენ. უბრალოდ, შარშან აფხაზეთში ჩასვლის აბსოლუტური რეკორდი დაამყარეს: ორი მილიონი კაცი! ამ ფონზე წლევანდელი სეზონი, უბრალოდ, ჩავარდნილია. ამიტომ ბრაზობს კიდეც ანჟელა დეიდა პრაგმატულ რუსებზე.

აფხაზები სეზონისთვის საფუძვლიანად მოემზადნენ. შეღებეს სასეირნო გემები. თუმცა ველურ პლაჟზე მოსული „აფხაზეთის გმირის“ გემბანზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოიყვანეს აფხაზეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შემადგენლობიდან არასაჭიროების გამო, მაინც არავინ ასულა.

– ძვირფასო დამსვენებლებო! სულ რაღაც 350 რუბლით საზღვაო ექსკურსია ღია ზღვაში ცურაობით და ძველი გაგრის მონახულებით, – თავგანწირვის ყვიროდა კაპიტანი მეგაფონში. – კარგი, ჯანდაბას, დამარწმუნეთ, იყოს 300 რუბლად!

ახლახან მოვიდა ცნობა „ბულგარიის“ კატასტროფის შესახებ და როდესაც ამ რუხ „გმირს“ უყურებ, რომელიც აიგო ჯერ კიდევ სტალინის დროს, როგორც თევსაჭერი სეინერი, შეიძლება ივარაუდო, რომ ექსკურსია ცურვით ღია ზღვაში უკვე დამთავრდა კიდეც.

სირთულეებზე რუსეთთან აფხაზეთის საზღვრის გადასვლასთან დაკავშირებით ბევრი დაიწერა. ამ ყველაზე ვიწრო ადგილზე ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა მორიგი დივერსია. არა, ბომბი არავის აუფეთქებია. უბრალოდ, მშენებლებმა დაიწყეს ფეხით სასიარულო მეორე ხიდის მშენებლობა სასაზღვრო მდინარე ფსოუზე სწორედ ტურისტული სეზონის პიკში. რემონტის დამთავრებას გვპირდებიან სწორედ სეზონის ბოლოსთვის. ჯერჯერობით კი მანქანებიც და ხალხიც მოძრაობს დანგრეული ძველი ხიდით, რომლებიც ქმნიან სიცხეში უზარმაზარ რიგებს. პატიოსნად თუ ვიტყვით, მოძრაობენ მხოლოდ ადამიანები. ავტოტურისტები კი ორიოლიდან, როსტოვიდან და მოსკოვის გარეუბნიდან, როგორც იდგნენ კილომეტრიან რიგში, ისევე დგანან ახლაც. როგორც კი ფეხი დავადგი აფხაზეთის კურთხეულ მიწაზე, მეც და სხვა დამსვენებლებიც აღმოვჩნდით შავგვრემანი ბიჭების წრეში.



– დაზღვევა! სავალდებულო დადგენილება! ერთ სულზე 250 რუბლი. წინააღმდეგ შემთხვევაში – ჯარიმა და გასახლება!

გასახლება არავის სურდა და ყველა მორჩილად დებდა ფულს.

მეორე ზღვარი, საქართველოსთან, რუსეთ-აფხაზეთის საზღვართან შედარებით, არის როგორც ახალი ათონის მონასტერი ფესტივალ „შემოსევასთან“ შედარებით. თუმცა საზღვრად მას მიიჩნევენ მხოლოდ რუსეთი და აფხაზეთი. საქართველო და დანარჩენი მსოფლიო მას საოკუპაციო ხაზს უწოდებს. მაგრამ ამ ხაზზეც გადადიან მდუმარე ადამიანები. თანაც როგორც ერთი, ისე მეორე მხარიდან. ვესაუბრები ერთ ქალს, რომელსაც მიუხედავად სიცხისა, აცვია შავი კაბა – გლოვის ნიშანი. იმედა, ასე ჰქვია მას, მიდის საქართველოში თავის ნათესავებთან. მათ ოჯახში გლოვაა – მანქანით დაიმსხვრა მისი ქმრის ბიძაშვილის შვილიშვილი. იმედა – ქართველია, ცხოვრობს გალის რაიონში. მაგრამ ამ დროს ის აფხაზეთის მოქალაქეა. მე იგი გავაცილე საზღვრამდე. შემდეგ მე, რუსეთის პასპორტით, აღარ გამატარეს. მე რომ გავემგზავრო საქართველოში – ამ ახლო და შორეულ რესპუბლიკაში – უნდა მივიღო ვიზა მეორე მხრიდან.

აფხაზეთის სულ უფრო მეტი მოქალაქე მიდის საქართველოში. რასაკვირველია, არა ტურისტული მიზნებით. სულ ახლახან ქალაქ სოხუმის ერთ-ერთი მცხოვრები ქვედაკიდურების თრომბოფლებიტის სერიოზული დიაგნოზით ნათესავებმა საოპერაციოდ გაგზავნეს არა რუსეთში, არამედ საქართველოში. ავადმყოფი საკაცით გადაიყვანეს მდინარე ენგურზე, საქართველოს სანიტარიული შვეულმფრენით გადაიყვანეს ქუთაისში, ფეხი მას ვერ გადაურჩინეს. მაგრამ შვეულმფრენით კი ასეირნეს. შევეკითხე მის ცოლ სუსანას (გვარი მთხოვა არ დამესახელებინაძ, რატომ გადაწყვიტეს წაეყვანათ საქართველოში და არა რუსეთში.

– ჩვენ არ გვაქვს იმდენი ფული, რომ რუსეთში ვიმკურნალოთ. საქართველოში აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის ყველაფერი უფასოა. მართალია, ჩვენ გვაქვს მეორე, რუსეთის მოქალაქეობა, მაგრამ ჩაწერილი ვართ სოხუმში და ჩვენი დაზღვევები არ გვაქვს. სოჭის საავადმყოფოში ჩვენ გვთხოვეს 1500 რუბლი დღეში, წამლები რომ არ მივიღოთ მხედველობაში. იყო კიდევ ერთი ვარიანტი – დავწოლილიყავით, როგორც ბომჟი. ცოტა ფულით ამის გაკეთება შეიძლებოდა. მაგრამ მე პატივს ვცემ ჩემ ქმარს. გამოდის, ქაღალდზე – ის არის რუსეთის მოქალაქე, სინამდვილეში კი – ბომჟი...

თითქოსდა იგრძნო ამაყი ქალის სუსანას განწყობილების ცვლილებაო, საქართველომ გამოაცხადა, რომ აფხაზეთის ყველა მოქალაქეს, მისი ეროვნებისგან დამოუკიდებლად, შეუძლია მიიღოს ეგრეთ წოდებული „თეთრი“ პასპორტი, სადაც არ იქნება მითითებული მოქალაქეობა. ეს პროექტი ქართველებმა ამ ცოტა ხნის წინათ გაიყვანეს გაეროს საშუალებით. წინადადება მაცდუნებელია. შეგიძლია იმოგზაურო მთელ მსოფლიოში, ადვილად მიიღო ვიზები – ასეთი პასპორტის მფლობელი ხომ ოკუპაციის მსხვერპლად ითვლება.

– აფხაზეთმა ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის განთიადისას, ომის დამთავრებისთანავე, სთხოვა გაეროს გაეცათ მათ მოქალაქეებზე ასეთი პასპორტები, – გვითხრა აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ. – ჩვენ ხომ არანაირი პასპორტები არ გვქონდა და არსებითად ვცხოვრობდით ბლოკადაში. გაიზარდა მთელი თაობა, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს არ გასცილებია. მაგრამ მაშინ ჩვენი თხოვნა უგულებელყოფილ იქნა. რუსეთმა აფხაზეთის ბევრ მცხოვრებლებს მისცა თავისი მოქალაქეობა. ჩვენ ახლა შეგვიძლია ვიმოგზაუროთ მსოფლიოში რუსეთის პასპორტებით. საქართველოს წინადადებას მე კომენტარს არ გავუკეთებ. ეს არის პროპაგანდისტული აქცია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, თუ იგი პატივს სცემს საკუთარ თავს, უარით უპასუხებს.

არ ვიცი, აღმართავს თუ არა მაქსიმ ღვინჯია ან აფხაზეთის სხვა რომელიმე მოქალაქე ხელს თავის მემამულე სუსანაზე იმის გამო, რომ მან თავისი ქმარი სამკურნალოდ ქუთაისში გადაიყვანა და, შეიძლება, უკვე მიიღო კიდეც „ნეიტრალური პასპორტი“. როდესაც წინ მომაკვდავი ქმარი გიწევს, აქ პოლიტიკაზე საუბარი ხომ ზედმეტია?

– დაზღვევა დამსვენებლისთვის გააუქმეს! – უხაროდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. – ახლა კი მოვა ტურისტი!

და მხოლოდ არჩილ ბიძია – ადგილობრივი „ტაჩკისტი“ (გთხოვთ ტაქსისტში არ შეგეშალოთ. ეს არის კაცი მაზიდზეძ, რომელიც, როგორც გლიჯინით, გადადის საზღვარზე ფქვილით ან შაქრით სავსე ტომრით, იყო განწყობილი ფილოსოფიურად:

– რა არის აქ გაურკვეველი? აი, არჩევნები ცხვირწინაა. ახლა დაზღვევა გააუქმეს. ერთი თვის შემდეგ ისევ შემოიღებენ. ეჰ, ნეტა არ მოხდებოდეს ისე, როგორც 2004 წელს. ვერ აირჩიეს პრეზიდენტი და მაშინ საზღვარი დაკეტეს. ლამის სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ერთმანეთს დაეტაკნენ. აი მესამე დარტყმას ჩვენ უკვე ვეღარ ავიტანთ...

აფხაზეთის ხელმძღვანელობამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საზღვრის გადალახვის პროცედურა რუსეთელი ტურისტებისთვის გამარტივდება.

– რასაკვირველია, აფხაზეთში შესვლაზე ტურისტებს ძალიან აშინებთ საზღვარი, – გვიამბო რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრ ანქვაბმა. – სასაზღვრო ფორმალობის წინაშე შიში ბევრს აფრთხობს. მაგრამ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და საზღვრის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. თანაც საბაჟო გადასახადების ხარჯზე მას წელიწადში 5000 მილიონი რუბლი შემოაქვს. ასეთ თანხაზე რესპუბლიკის ბიუჯეტი ჯერჯერობით უარს ვერ იტყვის. მაგრამ ჩვენ ვართ იმის მომხრე, რომ უკიდურესად გავამარტივოთ ტურისტების გავლა. მალე ჩვენ გავაუქმებთ დაზღვევას საზღვარზე.

**იური სნეგირიოვი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА



## დედამიწის ზურგზე

**პრესტიჟულ გერმანულ პრემიას „კვადრიგს“ ერთი მეორის მიყოლებით ტოვებენ მზრუნველები, ისინი პროტესტს აცხადებენ პრემიის პუტინისთვის მინიჭების წინააღმდეგ**

მზრუნველთა საბჭოს უკვე მესამე წევრმა დატოვა იგი. „მწვანეთა“ ლიდერს და „ვიკიპედიის“ დამფუძნებელს მიჰყვა ისტორიკოსი ედგარ ვოლფრუმი. მან სკანდალური უწოდა ჟიურის გადაწყვეტილებას. რუსეთის პრემიერისთვის პრემიის მინიჭების შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა ვრცელი დისკუსია, დარწმუნებულია იგი.

* * *

**იტალიაში მაღალი სიჩქარის სარკინიგზო მაგისტრალზე აღმოაჩინეს საბრძოლო რაკეტა**

1,5 მეტრი სიგრძის რაკეტა დატენილი იყო სათბობით, მაგრამ არ ჰქონდა საბრძოლო მუხტი. მენაღმეებმა რაკეტის გარდა აღმოაჩინეს აგრეთვე დეტონაციური მოწყობილობა, თუმცა უმავთულებოდ. მკვლევარების აზრით, საკითხი შეიძლება შეეხებოდეს „დაშინების აქტს“ რომელიღაც დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზაციის მხრიდან.

* * *

**„კოსმოსური“ ფოტო: სოციალურმა ქსელებმა გააშუქეს მსოფლიოს დედაქალაქები მოსკოვიდან ტოკიომდე**



„შუქის რუკები“ უჩვენებენ, თუ რამდენად აქტიურად იყენებენ მოსკოვის, ბერლინის, ნიუ-იორკის, მეხიკოს, ბარსელონის და ბევრი სხვა ქალაქების მცხოვრებლები „ტუიტერის“ და „ფლიკრის“ საიტებს. რუსეთის დედაქალაქი არ ედავება დიმიტრი მედვედევის გემოვნებას, მაგრამ ქალაქის ცენტრში საქმეში ტურისტები ჩაერივნენ.

* * *

**აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ჯერ ვერ მონახა ადგილი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რადარისთვის – ჰილარი კლინტონი რჩევისთვის თურქეთს მიემგზავრება**




სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება სამხრეთი ევროპის რომელ ქვეყანაში განათავსოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რადარები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ ვაშინგტონს შეუძლია ხელი მოაწეროს შეთანხმებას სტამბოლთან.

* * *



**კადაფმა ლიბიიდან დაუსვა დიაგნოზი საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის**

ლიბიის ლიდერი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის ლიდერი, ქვეყნისა, რომელმაც მოახდინა ლიბიაში სამოქალაქო ომში დასავლეთის სამხედრო ჩარევის ინიციირება, „ფსიქიკურად ავადმყოფია“ და ამავე დროს არის „სამხედრო დამნაშავე“. კადაფის მკაცრი განცხადება გაკეთდა სულ რამდენიმე დღიდან მას შემდეგ, რაც მისმა შვილმა განაცხადა, რომ ტრიპოლი საფრანგეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებს.

## როცა სათქმელს გული ველარ იტევს

# გოგოლის პელაგეა თბილისში, ტროას ცხენი ბათუმში, ბრეჟნევის უნიტაზი და წისქვილის ჟირები

(მეექვსე გვერდიდან)

ამ დროს, აჭარლებს თათრებს გვეძახიან. ახლახან „Goli.ge-სათვის" მიცემულ ინტერვიუში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ამბობს, რომ „აჭარაში თათარი ბავშვი ვიპოვეთ..." ლაპარაკია აჭარელ ახალბედა ფეხბურთელზე. ბავშვსაც კი შეურაცხყოფენ. ამ ფრაზის კომენტარი უნდა ვთხოვო ჩემთვის ღვთაებრივად პატივსაცემ ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს, რომელმაც ღიად დაუჭირა მხარი ბათუმში ცისფერი მეჩეთის აშენების თურქულ იდეას, რამაც გამაოგნა.

ახლახან გავრცელდა შემაშფოთებელი ინფორმაცია: ქალაქ ბათუმის მიმდებარე სოფელ ფერიაში თურქებმა შეიძინეს მოქალაქე ვარდო რობაქიძის სახლი და მამული, სადაც სურთ ააგონ მასშტაბური ისლამური სემინარია, რომელშიც, მედრესედამთავრებულმა ქართველმა ბავშვებმა უნდა განაგრძონ უფასოდ სწავლა. საკითხავია, რატომ აძლევს ამის ნებართვას საქართველოს და გნებავთ, აჭარის ხელისუფლება?! ერთი დიდი ალიაქოთი ატყდებოდა თბილისში, ეს რომ აბაშიძის დროს მომხდარიყო! ახლა რატომ ჩაიგდო ენა დედაქალაქმა?!

ჩემი ფიქრით, ეს ცენტრალური ხელისუფლების მართლმადიდებლური სარწმუნოების საწინააღმდეგო პროგრამის ნაწილია. ამ პროგრამით შეფერხდა აჭარლების მამაპაპურ რელიგიასთან ზიარების პროცესი. 7 წლის წინათ, მოსახლეობის ინიციატივითა და შემოწირულობებით, მაღალმთიან შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურში აშენდა გამონათლევის ულამაზესი ეკლესია. სამწუხაროდ, იგი ჯერაც არ გახსნილა და ბოქლომი ადევს, რადგან არ მოხერხდა წინამძღვრის დანიშვნა. არის სერიოზული ეჭვი, რომ ამაშიც ხელისუფლების ხელი ურევია. მოვუწოდებ ეროვნული ცნობიერების გამომხატველ ინსტიტუტებს ხმა აიმაღლონ ყოველივე ამის წინააღმდეგ.

უკვე აშკარაა ხელისუფლების მიერ ჩვენი ვაიპარლამენტის საშუალებით საპატრიარქოს ანექსიის მცდელობა. რატომ ჰგონია ბატონ კუბლაშვილს ჩვენი პატრიარქი „ვინმე", რომელთანაც არ არის სავალდებულო საკითხის შეთანხმება, თუ ის რელიგიას ეხება?! მაშინ რატომ შეუთანხმა ეს საკითხი ხელისუფლებამ სომხეთის ეკლესიის წინამძღოლ გარეგინ მეორეს? ამ კითხვას, ვიცი, არავინ უპასუხებს. თუმცა საბედნიეროდ, ზოგი რამ თითქოს გაირკვა.

**— ბატონი სააკაშვილი ტრაბახობს, ბათუმში სასწაული ხდებაო, ბათუმი ჩემი ქალიშვილიაო?!**

— საჯარო და სამუსიკო სკოლების, ბიბლიოთეკების, ეროვნული ცნობიერების გამომხატველი ინსტიტუტების დახურვა, შენობების გაყიდვა, მასობრივი უმუშევრობა და თურქების მიერ მედრესე-ინტერნატების, ჯამეების, კაზინოების, ტრაქტირების, კაფე-შანტანების, სასტუმრო-ბორდელების მშენებლობა თუ სასწაულია, კი ბატონო. მეც მომისმენია, რომ თქვა, ბათუმი ჩემი ქალიშვილიაო. სავალალო ის არის, ეს „მისი ქალიშვილი" თურქეთს მიათხოვა. ბათუმი ბათუმელებს აღარ გვეკუთვნის. იგი სააკაშვილის ჩინოვნიკებმა და თურქებმა დაინაწილეს. ჯერ იყო და დედაქალაქის სტატუსი ჩამოართვა, აჭარის პარლამენტს სოფელ ჩაქვში მიერეკება. ფაქტობრივად, აჭარაში საპრეზიდენტო მმართველობაა.

**— პრესაში დაიბეჭდა უცხოეთის წამყვანი ფსიქიატრიული კლინიკების დასკვნები სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.**

— მსგავსი დასკვნები სადღაც მეც წამიკითხავს, მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, კლინიკებისა და საექსპერტო დასკვნების, რეიტინგებისა და ამგვარი რამეების არაფერი მწამს. ჩემი აზრით, იგი უფრო ფილისტერულია. მის ქცევებში ფარისევლობა იკითხება. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, ვიტყვი მხოლოდ ერთს: როცა ბრეჟნევი ვიზიტით მიდიოდა უცხოეთში, სპეცსამსახურებს მისთვის სპეციალური უნიტაზი მიჰქონდათ და მისი მუცლის ნაგავი მოსკოვში ჩამოჰქონდათ, რათა უცხოეთის დაინტერესებულ სპეცსამსახურებს ანალიზი არ აეღოთ და არ დაედგინათ ძვირფასი ლეონიდეს ქრონიკული დაავადებები. როგორც ჩანს, სააკაშვილის დაცვას, უცხოეთში ვიზიტების დროს, დაავიწყდა უნიტაზის წაღება.

**— ბატონო შოთა, მოდით ისევ მწერლობას დავუბრუნდეთ: თქვენ უაღრესად აკადემიური პოეტი და ესეისტი ხართ. როგორია თქვენი გეგმები? როგორ უყურებს მომავალს შოთა ზოიძე, რომელიც მალე 70 წლის გახდება?**

— მადლობა ქათინაურისთვის. მე ახლა სიკვდილისთვის ვემზადები. ზუსტად 70 წლის იყო გალაკტიონი, როცა ფანჯრიდან გადმოხტა. ცხადია, მე არც გალაკტიონი და არც ფანჯრიდან გადმომხტომი არა ვარ. ადრეც მითქვამს, დღეს საქართველოში არ არის პოეტი ფანჯრიდან რომ გადმოხტება. ამას დემონის ბიძგი სჭირდება. დღესდღეობით ჩემი ლექსები, პოემები, თარგმანები, ესეები, პუბლიცისტიკა, საუბრები, ეპისტოლეები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მონოგრაფიები, სამოცდაათ-ოთხმოც საავტორო ფორმას შეადგენს და, ჩემი ფიქრით, 6 ტომში უნდა ჩაეტიოს. მისი გამოცემის არავითარი სახსარი მე არ გამაჩნია. 1998 წლიდან, რაც უარი ვუთხარი აბაშიძის რეჟიმს, ფაქტობრივად, უმუშევარი ვარ. ათ წელიწადზე მეტია, წიგნი არ გამომიცია. 1992 წლიდან არც ერთი ლარი ჰონორარი არ ამიღია. ერთი სიტყვით, ჩარეცხილი პოეტი ვარ. დევნილობაში რუსული კულტურის მგზნებარე დამცველი, უკანასკნელი ევროპელი „პოდვიჟნიკი" გერა წუხდა, ჩემი თხზულებანი არც რუსეთში და არც საფრანგეთში არავის სჭირდებაო. ნამდვილად არ ვიცი, ვის როგორ სჭირდება ჩემი ლექსები და ესეები საქართველოში. თუ სიკვდილი დამაცლის ან სიკვდილს დამაცლიან, შევეცდები ექვსტომეული კომპიუტერში ჩავტვირთო და ასე დავუტოვო მომავლის მეცენატს.

**ბატონ შოთა ზოიძეს ეკითხებოდა**

**გურამ გოგიაშვილი**

**კითხვა-პასუხი ბათუმსა და თბილისს შორის გაიმართა ინტერნეტით**

14 ივლისი, 2011 წ.

## პაპანაქება ზაფხულში

# ჯერ ხელები დავიბანოთ კარგად, მერე ხილი და ბოსტნეული გავრეცხოთ საგულდაგულოდ...

**ზაფხულში ტრადიციულად მატულობს საკვებით მოწამვლის შემთხვევათა რაოდენობა, წლეულს კი ამას კიდევ ევროპიდან ნაწლავის ჩხირის შემოტევა დაემატა, რომელმაც, მადლობა ღმერთს, მართალია ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ გულები კი კაი გვარიანად დაგვიხეთქა...**

თავდაპირველად საზოგადოებრიობის ყურადღება თურქეთში მომხდარმა ტრაგიკულმა ამბავმა მიიპყრო, სადაც ფალსიფიცირებულმა ვისკამ 20 უცხოელი ტურისტი მოწამლა, რომელთაგან ხუთი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა საბერძნეთში და, მართალია, იქაურ მოწამვლას ტრაგიკული შედეგი არ მოჰყოლია, ერთბაშად 60 ტურისტის მოწამვლა ნამდვილად საგანგაშოა. მით უმეტეს, რომ ბოლო წლებში თურქეთსაც და საბერძნეთსაც უამრავი საქართველოს მოქალაქე სტუმრობს იქაურ საზღვაო კურორტებზე დასასვენებლად.

კუჭ-ნაწლავური ინტოქსიკაციები წლის ცხელ დროში ისევე ხშირია, როგორც სასუნთქი გზების გაციება შემოდგომაზე და გრიპი ზამთარში. **ამის მიზეზი სიცხეა, რომლის გამო სურსათის შენახვის ვადები მკვეთრად მცირდება, თან მათში პათოგენური მიკროორგანიზმების სწრაფ გამრავლებას უწყობს ხელს. სიცხეში განსაკუთრებით საშიშია რძის პროდუქტები, ასევე ხორცის ფარში და კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი.**

ზაფხულში კუჭ-ნაწლავის ინფექციების გავრცელების კიდევ ერთი მიზეზი ისაა, რომ მათი გამომწვევი 30-ზე მეტი მიკრობი განსაკუთრებულად სიცოცხლისუნარიანია. **თავიანთ „მსხვერპლთ" მიკრობები დანა-ჩანგალზე, კარების სახელურებზე, ლიფტების ღილაკებზე, პლაჟების დასაწოლებზე, ბავშვების სათამაშოებზე, ტელეფონების ყურმილებსა და ათას სხვა ადგილას არიან „ჩასაფრებულნი". ამიტომაა, რომ ინფექციის ერთ მატარებელს ახლობელ-მეზობელ-თანამშრომელთა მთელი ჯარის დაავადება შეუძლია.**

**იმისთვის, რომ არ მოიწამლოთ, საჭიროა:**

- **ჭამის წინ ხელი დაიბანოთ;**
- **ფრჩხილები არ დაიკვნიტოთ;**
- **დალიოთ მხოლოდ ანადუღარი წყალი;**
- **საგულდაგულოდ გარეცხოთ ხილი და ბოსტნეული;**
- **ეცადოთ შვედურ მაგისთან პირველი მიხვიდეთ;**
- **დაიცვათ სურსათის ვარგისიანობის ვადები;**
- **ერთმანეთის გვერდით არ შეინახოთ უმი და მოხარშული სურსათი, ეს ხელს უწყობს მიკრობების გადატანას.**





**კუჭ-ნაწლავთა ინფექციის გამომწვევებს ადამიანის ორგანიზმში შეღწევა მხოლოდ ერთი გზით, პირიდან შეუძლიათ — საჭმელთან და სასმელთან ერთად, ანდა დაუბანელი ხელებიდან.** ისინი ძალიან სწრაფად მრავლდებიან და არა მარტო კუჭ-ნაწლავთა მთელ ტრაქტს აზიანებენ, არამედ ტოქსინებსაც გამოიმუშავებენ, რომლებიც მთელ ორგანიზმს წამლავენ. ამის შედეგად მოწამლულ კაცს სიცხე უწევს, თავი სტკივდება, პირღებინება და დიარეა ეწყება, სისუსტეს გრძნობს და ა.შ. მოწამვლის ხარისხი და მისი სიმპტომების გამოვლინება იმაზეა დამოკიდებული, თუ მიკრობების რა ოდენობა მოხვდა ორგანიზმში: რაც უფრო მძლავრია მათი „დესანტი", მით უფრო სწრაფად და მძაფრად რეაგირებს მათზე ორგანიზმი. ჩვეულებრივ კი, პირველი სიმპტომები მოწამვლიდან 1-8 საათში იჩენს თავს.

ზაფხულის ამ მეტად უსიამოვნო მოვლენის ერთადერთი, თუ შეიძლება ითქვას, „დადებითი თვისება" ისაა, რომ, **ჩვეულებრივ, მსუბუქი მოწამვლა, სწორი მკურნალობის პირობებში, მალევე იკურნება: დიდი ოდენობით წყლისა და ენტეროსორბენტების მიღების (რომლებსაც ორგანიზმიდან მიკრობები და ტოქსინები გამოყავსძ, ასევე ხანმოკლე შიმშილობის შედეგად, მოწამლვა დღე-ღამეში გადის.** ამ დროს მთავარია შეცდომების დაუშვებლობა, რომლებიც, სიმპტომების შემსუბუქებით, ავადმყოფობასახანგრძლივებენ: **არ შეიძლება სხვადასხვა წამლებით პირღებინებისა და კუჭის აშლილობის შეჩერება, რადგან ამ გზით ორგანიზმი ტოქსინებს იცილებს. თუკი კაცს გულისრევის შეგრძნება აქვს, მაგრამ პირს არ აღებინებს, პირღებინება ხელოვნურად უნდა გამოიწვიოს. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მოწამლულმა კაცმა რაც შეიძლება მეტი სითხე უნდა სვას. მოწამლვის დროს ყველაზე დიდ საშიშროებას ორგანიზმის გაუწყლოება წარმოადგენს,** რომელსაც შედეგად შესაძლოა თირკმელების უკმარისობა და ნერვული სისტემის (კომა, თავის ტვინის შეშუპებაძ, ასევე გულისა და ღვიძლის მხრივ გართულება მოყვეს. ამიტომ, **ნებისმიერ შემთხვევაში, კუჭში ყოველი თხლად გასვლის შემდეგ აუცილებელია ნახევარი ჭიქა თბილი წყლის დალევა, ოღონდ არა გადაკვრით, რაც გულისრევის ახალ შეტევას გამოიწვევს, არამედ პატარ-პატარა ყლუპებით.**

თანაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ **თუკი მოწამვლას დღე-ღამეზე მეტ ხანს იგრძნობთ, აუცილებლად უნდა მიმართოთ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.** საქმე ისაა, რომ კუჭ-ნაწლავთა ინფექციების მსგავსი სიმპტომები სხვა დაავადებასაც — აპენდიციტს, სიმსივნეებს, ლიმფომებს, მწვავე პანკრეატიტსა და სხვებს აქვთ.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## ინფორმაცია

### სახალხო დამცველის ოფისი გაზეთი „ქრონიკის" რედაქტორის განცხადებას გამოეხმაურა

**სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გაზეთ „ქრონიკის" რედაქტორის განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც, სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები უყურადღებობას იჩენენ დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების მიმართ და არ მისულან მათ სანახავად.**

**განცხადების მიხედვით, სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი კიდევ ერთხელ შეახსენებს დაინტერესებულ პირებსა და მედიასაშუალებებს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაკავებული ფოტორეპორტიორები ირაკლი გედენიძე, ზურაბ ქურციკიძე და გიორგი აბდალაძე მოინახულეს ოთხჯერ — 7 და 8 ივლისს თბილისის დროებითი მოთავსების 31 იზოლატორში, ხოლო 9 და 11 ივლისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 38 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. სახალხო დამცველის წარმომადგენლები რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებენ დაკავებულთა განთავსების პირობებსა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მონიტორინგის შედეგები აისახა სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ პრესრელიზებში 7, 8 და 11 ივლისს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ნომრის კარიკატურა



— თუ გგონია, რომ სამშობლოს აღარ ახსოვხარ, სცადეთ და გადასახადებს ნუ გადაიხდით...

ამირან ერაძის ნახატი.

ფეხბურთი

# დაკალით ცხვარი!

**„ტობოლი“, „აქტობე“ და, ალბათ, უკვე „ირტიშიც“ – ეს ის ყაზახური კლუბებია, ბოლო წლებში სისტემატურად რომ ამწარებენ რუსთავის „ოლიმპსა“ და აწ უკვე ძველსახელდაბრუნებულ „მეტალურგს“ და ევროტურნირების ადრეულ ეტაპებზევე ამარცხებენ.**



წლევანდელი ევროპის ლიგის გათამაშების საწყისი რაუნდის პირველ საშინაო შეხვედრაში არმაზ ჯელაძის გუნდი სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მოდებაძის მიერ გამოუყენებელი რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტის გამო მხოლოდ ფრეს დასჯერდა 1:1 (კვახაძე; დასკალოვიძ. ჰოდა, იქნებ გაითვალისწინონ ქვემოქართლელებმა ჩვენი მეგობრული რჩევა და პავლოდარში საპასუხო მატჩზე გამგზავრებამდე ჯადოს მოსახსნელად და აზიელთა კომპლექსებისგან გასანთავისუფლებლად რომელიმე ეკლესიას ცხვარი შეწირონ.



ვიმედოვნებთ, აქამდე არ მიიყვანს საქმეს ესპანელი ლეგიონერებით გაძლიერებული თბილისის „დინამო“, რომელმაც უელსში ორთამაშიანი დუელისთვის მისაღები სტრატეგიული ანგარიშით – 1:2 დათმო სასტარტო ბრძოლა „ლანელისთან“ (ფოლოუზი – 2, ოდიკაძე – პენალტით).

რაც შეეხება ევროსარბიელის დებიუტანტ „გაგრას“, მართალია იგი კვიპროსზე თემურ ქეცბაიას მიერ ფეხზე დაყენებულ „ანორთოსისთან“ წაგებით – 0:3 (ვუჩიჩევიჩი, რეჟეკი – 2) ფაქტიურად უკვე გამოემშვიდობა გათამაშებას, მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც შეასრულა – საფეხბურთო სამყაროში ოკუპირებული რეგიონის სახელი გაიტანა. მადლობა ამისთვის დევნილთა კლუბის თითოეულ წევრს მის პრეზიდენტ ბესო ჩიხრაძის თამადობით!

**დანარჩენი შედეგები: „ყარაგანდა“ – „სენტ პატრიკსი“ 2:1, „შლიონსკი“ – „დანდი იუნაიტედი“ 1:0, „რადი“ – „ვოლოსი“ 0:1, „კუოპიო“ – „გაზ მეთანი“ 1:0, „ფლამურტარი“ – „იაბლონეცი“ 0:2, „რუდარი“ – „აუსტრია“ 0:3, „ტაურასი“ – „დენ ჰააგი“ 2:3, „ისკრა“ – „ვარაჟდინი“ 1:1, „ტურკუ“ – „ვესტერლო“ 0:1, „სანტა ჯულია“ – „ბნეი იეჰუდა“ 0:2, „შახტიორი“ (სოლიგორსკიძ – „ვენტსპილსი“ 0:1, „ვალერენგა“ – „მიკა“ 1:0, „მინსკი“ – „გაზიანთეფი“ 1:1, „ჰაკენი“ – „ჰონკა“ 1:0, „ორებრო“ – „სარაევო“ 0:0, „ფერენცვაროში“ – „ალესუნდი“ 2:1, „ფლორიანა“ – „ლარნაკა“ 0:8, „მაკაბი“ – „ხაზარი“ 3:1, „ვადუცი“ – „ვოივოდინა“ 0:2, „ოლიმპია“ (ლიუბლიანაძ – „ბოჰემიანსი“ 2:0, „დიფერდანჟი“ – „ლევადია“ 0:0, „სუდუვა“ – „ელფსბორგი“ 1:1, „ნიუ სეინთსი“ – „მიდტიულანდი“ 1:3, „პაკში“ – „ტრომსო“ 1:1, „ტირანა“ – „სპარტაკი“ (ტრნავაძ 0:0, „სტრეიმური“ – „ყარაბაღი“ 1:1, „ლიეპაია“ – „ზალცბურგი“ 1:4, „კეჩკემეტი“ – „აქტობე“ 1:1, „ჟელეზნიჩარი“ – „შერიფი“ 1:0, „ვლაჟნია“ – „თუნი“ 0:0, „ჟუვენასი“ – „რაბოტნიჩკი- 0:1, „დომჟალე“ – „სპლიტი“ 1:2, „გლენტორანი“ – „ვორსკლა“ 0:2, „მეტალურგი“ (სკოპლეძ – „ლოკომოტივი“ (სოფიაძ 0:0, „კრუზეიდერსი“ – „ფულჰემი“ 1:3, „რეიკიავიკი“ – „ჟილინა“ 3:0, „ჰაფნარფიორდური“ – „ნასიონალი“ 1:1.**

* * *

*ერთადერთი ქართული კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩის მოგებით მოლდოვას „დაჩიასთან“ 3:0 თანამემამულენი გაახარა, „ზესტაფონია“, თუმცა უეფადან მოსულმა ინფორმაციამ ეს სიხარული გარკვეულწილად გააფერმკრთალა. კერძოდ, იმის გამო, რომ პოლიციელებმა არ აღკვეთეს დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე მესერის გავლით ქომაგთა შეღწევა, ყვირილასპირელები დანარჩენ წლევანდელ მატჩებს სხვაგან გამართავენ.*

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# პირველი ნაბიჯი

**წარმატებით ჩაება 20 წლამდე კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის გათამაშებაში საქართველოს ნაკრები.**

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში დაწყებული ტურნირის სტარტზე დავით უსტიაშვილის შეგირდებმა 82:74 (15:13, 18:20, 24:20, 25:21) სძლიეს შვეიცარიელ თანატოლებს და პირველი ნაბიჯი გადადგეს ელიტისკენ – მომდევნო ეტაპის საგზურებს I-II ადგილებზე გასული გუნდები მიიღებენ.

**მატჩის გმირმა** – „ჯვაროსანთა“ ეროვნული ნაკრების წევრმა თორნიკე შენგელიამ 27 წუთში 31 ქულა, 6 მოხსნა, 2 დაფარება და 2 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა, მის დანარჩენ პარტნიორთა მონაგარი კი ასეთია: **ჩიკვილაძე** – 16, **დვალიშვილი** – 15, **სანაძე** – 8, **ბაქრაძე** – 6, **თენეიშვილი** – 4, **რევაზაშვილი** – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე **ბოქოლიშვილმა, ლეჟავამ და ბექაურმა.**



წუხელ ჩვენებურთა მეტოქენი მაკედონიელები იყვნენ, ხოლო შემდგომ შეხვედრათა კალენდარი ასეთია:

**16 ივლისი**

საქართველო – პოლონეთი, მაკედონია – ესტონეთი, შვეიცარია – რუმინეთი.

**17 ივლისი**

საქართველო – ესტონეთი, პოლონეთი – შვეიცარია, რუმინეთი – მაკედონია.

**18 ივლისი**

საქართველო – რუმინეთი, ესტონეთი – პოლონეთი, მაკედონია – შვეიცარია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჭადრაკი

# ჩინეთში მშვიდობაა

**ჩინეთის ქალაქ ჰანგჟოუში დაწყებული ქალთა საჭადრაკო სუპერტურნირის პირველი ტური მშვიდობიანი გამოდგა – ხუთივე პარტია ყაიმით დასრულდა.**

ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით ქულა გაიყო ჩინელ მსოფლიო ჩემპიონ ჰოუ იფანთან. ასეთივე შედეგი გამოაცხვეს მარი სებაგმა და ნადეჟდა კოსინცევამ, ჰარიკა დრონავალმა და ჟაო ქსუემ, ჟუ ჩენმა და ანა ზატონსკიხმა, ტატიანა კოსინცევამ და ჟუ ვენცზუნმა.



შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულს 9 ტურის შემდეგ საპრიზო ფონდიდან ხუთი ათასი დოლარი გადაეცემა, მეორე პრიზიორს – ოთხი ათასი, ხოლო მესამეს – ორი ათასი.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

## ამერიკაში აღიარეს

**ლოს-ანჯელესში ESPY-ს პრესტიჟული ჯილდოების გადაცემისას ყველაზე მეტი ჯილდო მიიღეს კალათბურთის კლუბის „დალას მავერიკსის“ წარმომადგენლებმა. კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (NBA) ჩემპიონს მიანიჭეს საუკეთესო გუნდის წოდება, ხოლო „დალასის“ 33 წლის ლიდერს, გერმანელ დირკ ნოვიცკი აღიარეს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) საუკეთესო მოთამაშედ და 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად.**

ნომინაციაში „წლის საუკეთესო ჩოგბურთელი“ ჯილდოები მიიღეს მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანოსნებმა – 29 წლის ამერიკელმა სერენა უილიამსმა და 25 წლის ესპანელმა რაფაელ ნადალმა.



დაჯილდოებულთა შორის ასევე არიან 37 წლის ამერიკელი გოლკიპერი ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბიდან „ბოსტონ ბრიუნზი“ ტიმ ტომასი და 26 წლის ამერიკელი სამთო მოთხილამურე ქალი ლინდსი ვონი.

მართალია, ჯილდო არ მიუღია, მაგრამ საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდა და დაჯილდოვებულებს წარმატება მიულოცა 2011 წლის უიმბლდონის ფინალისტმა 24 წლის მარია შარაპოვამ.

## რეკორდსმენი სუმოისტი



**სუმოს იაპონელმა მოჭიდავემ კაიომ დაამყარა მსოფლიო რეკორდი, კარიერაში მოიგორა 1046 ორთაბრძოლა. ის 24 ივლისს 39 წლის გახდება. სარეკორდო გამარჯვება ხუთშაბათს ნაგოიაში მოიპოვა, როდესაც დაამარცხა მონღოლი სუმოისტი კიოკუტენხო. წინანდელი მსოფლიო მიღწევა ეკუთვნოდა სუმოს ისტორიაში ერთ-ერთ ცნობილ მოჭიდავეს ტიენოფუძის, რომელიც 1970-91 წლები გამოდიოდა.**

კაიოს დებიუტი კი 1988 წელს შედგა: ის ერთადერთი სუმოისტია, ხუთჯერ რომ მოიპოვა ყველაზე პრესტიჟული ჯილდო – იმპერატორის თასი, მაგრამ მაინც ვერ მიიღო იოკორუნის უმაღლესი წოდება. ტურნირი ნაგოიაში 24 ივლისამდე გაგრძელდება.

## საუკეთესონი რუსეთში

**საზღვარგარეთ ჩვენი სპორტსმენების მცირეოდენი წარმატებაც კი ძალზე გვახარებს. სწორედ ასე დაგვემართა, როდესაც რუსულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“. ვნახეთ ფეხბურთში რუსეთის ჩემპიონატში პრემიერ-ლიგის გუნდების მოთამაშეთა თავისებური რეიტინგი „საუკეთესონი ივნისში“.**

ეს რეიტინგი რამდენიმე ნომინაციად არის დაყოფილი – „არანაკლები 11 მატჩისა“, „ბომბარდირები“, „ასისტენტები“ და „გოლ-პასი“. ჩვენდა გასახარად ყველა ნომინაციაში ვნახეთ ქართველი ფეხბურთელების გვარები. მაგალითად, ნომინაციაში „არანაკლები 11 მატჩისა“, რომელიც დაყოფილია ქულებად – უმაღლესი 6,38-დან – 5,23-მდე, 5,96 ქულიან საფეხურზეა **მარცვალაძე,** „ვოლგიდან“, 5,86 ქულა აქვს **რევიშვილს** „ანჟიდან“, კრასნოდარელ **ამისულაშვილს** – 5,63 ქულა აქვს, ისევ „ვოლგელ“ **გოგუასა** და **სალუქვაძეს** – 5,58, ხოლო **გრიგალავას** – 5,54.

„ბომბარდირებში“ 5 გოლით არის მარცვალაძე, 2 გოლით – ხოჯავა („ვოლგა“), 1 გოლით – ანანიძე („სპარტაკი“), ვაწაძე, სალუქვაძე, სირაძე (ნალჩიკის „სპარტაკი“).

„ასისტენტებში“ ისევ მარცვალაძის, ამისულაშვილის, ხოჯავასა და გოგუას გვარებია მოხსენიებული.

ნომინაცია „გოლი-პასი“ კი გვახარებს, რომ საუკეთესოდ მოხსენიებული არიან მარცვალაძე – 7 (5-2), ხოჯავა – 3 (2-1), ანანიძე 1 (1-0), სალუქვაძე – 1 (1-0), ვაწაძე – 1 (1-0), სირაძე – 1 (1-0), გოგუა – 1 (0-1) და ამისულაშვილი 1 (0-1). ვფიქრობთ, ჩვენებურები ახალ სეზონში უფრო გაგვახარებენ!

## გამოსათხოვარი

# ოტია იოსელიანი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ, ქართულმა სულიერებამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ერისკაცი ოტია შალვას ძე იოსელიანი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა დიდი შემოქმედი, დიდი პიროვნება, რომლისთვისაც ერთადერთ ნაღდსა და უტყუარ, გაუხუნარ ჭეშმარიტებას სამშობლო – ქრისტესავით ჯვარცმული საქართველო წარმოადგენდა. საქართველოს ემსახურა როგორც შემოქმედი და მოქალაქე, მის წინსვლასა და განვითარებას შეალია მთელი სიცოცხლე და ბოლოს ლამის უკანასკნელ მეციხოვნესავით დაეცა სამშობლო ქვეყნის ბასტიონებთან.

მართალი, შეუდრეკელი, სიტყვისა და ფიცის ერთგული გახლდათ, მკვახე შეძახილით აფხიზლებდა მუდამ თანამოძმეთ და თავისი სიცოცხლით, თავისი არსებობით ზნეკეთილი რაინდობის სწორუპოვარ მაგალითს აძლევდა ქართველობას...

ოტია იოსელიანი დაიბადა 1930 წლის 16 ივნისს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. 1961 წელს დაამთავრა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები და მას შემდეგ მთლიანად ლიტერატურული მოღვაწეობით დაკავდა.

ოტია ოისელიანი ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობას 1954 წლიდან ეწეოდა, როდესაც გაზეთ „ნორჩი ლენინელში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ნიშო". 1957 წელს კი მწერლის პირველი საბავშვო მოთხრობების კრებული „კარის მეზობლები" დაიბეჭდა. მას შემდეგ თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, ამ ზნეკეთილი მწერლისა და მოაზროვნის უმთავრესი საფიქრალი მამულზე ფიქრით, ადამიანის სრულყოფის გზების ძიებით არ ყოფილიყოს გაჯერებული...

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა ოტია იოსელიანის ისეთი საეტაპო რომანები, როგორებიცაა „ვარსკვლავთცვენა", „ტყვეთა-ტყვე", „იყო ერთი ქალი", „შავი და ცისფერი მდინარე", „ქალი გამოვიდა სალალატოდ"; მოთხრობებსა და ნოველების არაერთი კრებული... ამ ნაწარმოებების უმთავრეს ღირსებას, მათ ხიბლსა და ანდამატს მაღალმხატვრულობასთან ერთად სიმართლე წარმოადგენს, დიდი ადამიანური სიმართლე. ხალხის წიაღიდან ამოზრდილი შემოქმედი მართლაც რომ ზედმიწევნით ზუსტად იცნობდა ადამიანის სულს, მის იდუმალ ხვეულებს, მის ზნესა და ხასიათს, მისი ოცნებებისა და ზმანებების სფეროს.

ოტია იოსელიანის სახით ქართული დრამატურგიის კორიფეებს დავით კლდიაშვილსა და პოლიკარპე კაკაბაძეს ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა. ბატონმა ოტიამ ღირსეულად გააგრძელა მათი ტრადიციები. დრამატურგიაში კიდევ ერთხელ ძალუმად წარმოჩინდა მისი მწერლური ნიჭიერებაც და წინასწარჭვრეტის საოცარი უნარიც. „ადამიანი იბადება ერთხელ", „სანამ ურემი გადაბრუნდება", „ურემი გადაბრუნდა", „გამოქვაბული", „ყრუ ღმერთები", „გერი და დედინაცვალი", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" – ეს პიესები დიდი წარმატებით დაიდგა საქართველოს და უცხოეთის ასორმოცდაათამდე თეატრში.

ოტია იოსელიანმა მრავალი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები უძღვნა ბავშვებს, რომელთა შორის ოზოლ მარგალიტებივით ბრწყინავს „დაჩის ზღაპრები", „მუხლებზე დაწერილი ბარათები", „ცხრა მთას იქით", „ხელისგულისოდენა ზღაპრები", „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები".

მწერლის კინოსცენარების მიხედვით შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები, როგორიცაა „ჩემი ქალაქის ვარსკვლავი" და „მალე გაზაფხული მოვა". ამ უკანასკნელში კიდევ ერთხელ მთელი სისრულით გამოვლინდა სერგო ზაქარიაძის არტისტული ძალმოსილება. კინოსტუდია „ქართულ ფილმში" გადაიღეს აგრეთვე, „აკაციის ყვავილობა", „ჩქარი მატარებლიდან", „ბოშას კოცნა", მულტფილმები „დაჩის ზღაპრები" და „სიყვარული და კიბერნეტიკა".

საქართველოს ტელევიზიაში წარმატებით დაიდგა „ადამიანი იბადება ერთხელ". სატელევიზიო ფილმად იქცა „მტრედებს გამოტანებული ბარათები".

მწერლურმა ნიჭიერებამ ოტია იოსელიანი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ გამორჩეულ დესპანად აქცია ცივილიზებულ სამყაროში. მისი ნაწარმოებები ითარგმნა არაბულ, სპარსულ, ფრანგულ, ინგლისურ, ბელორუსულ, რუსულ, უკრაინულ, ჩეხურ, ესტონურ, ლატვიურ, ლიტვურ, პოლონურ, მოლდავურ, ესპანურ, ბენგალურ, გერმანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ჩინურ, იაპონურ, ჰინდისა და ურდუს ენებზე...



ოტია იოსელიანის მრავალწლიანი გარჯა და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ქართული პროზის რაინდის საპატიო წოდება, ილია ჭავჭავაძის, დავით კლდიაშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის სახელობის პრემიები, წლის ადამიანის წოდება (2005ძ, დაჯილდოებული იყო ღირსებისა და კულტურული მემკვიდრეობის ორდენებით...

ოტია იოსელიანი მუდამ იმის ნიმუშს წარმოადგენდა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ჭეშმარიტი ერისკაცი მშობელ ქვეყანას და ერს, როგორ არ უნდა შედრკეს მირიადი განსაცდელის წინაშე და არ შეეკრას ეშმასა და მაცილს.

საქართველო არასოდეს დაივიწყებს ოტია იოსელიანს, დიდ მწერალს, ერისკაცსა და მოაზროვნეს.

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი

---

ედუარდ შევარდნაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი

ოტია იოსელიანი

და სამძიმარს უცხადებს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ედუარდ შევარდნაძე
თბილისი. 15.07.2011 წელი.

# მწერალი, მოაზროვნე, მშრომელი

გარდაიცვალა ჭეშმარიტი, საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი, კინოსცენარისტი და საზოგადო მოღვაწე

ოტია იოსელიანი

გარდაიცვალა გულმხურვალე პატრიოტი, რომელიც არავის აპატიებდა საქართველოს კულტურის ხელყოფას. მის სიტყვას მუდამ ხმალივით გაჭრა ჰქონდა. ბატონ ოტიას მრავალფეროვანი შემოქმედება ქართული სულიერებით გალვივებული მწერლის გულისცემაა.

იგი მუშაობდა რომანის ჟანრში, ნოველისტიკაში, წერდა პიესებს და კინოსცენარებს. ბატონი ოტია ინტენსიურად მუშაობდა საბავშვო მწერლობის დარგში (კრებულები: „ცხრა მთას იქით", „დაჩის ზღაპრები" და სხვაძ. წერდა რომანებს, რომელიც ეხებოდა, როგორც ომის თემას, ასევე ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკას (რომანები: „ვარსკვლავთცვენა", „იყო ერთი ქალი", „ტყვეთა-ტყვე" და ა.შ.ძ. ის იყო ავტორი ათამდე პიესისა („ადამიანი იბადება ერთხელ", „სანამ ურემი გადაბრუნდება", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" და სხვაძ.

ოტია იოსელიანის თხზულებანი ნათარგმნია მრავალ უცხოურ ენაზე.

ოტია იოსელიანი წყალტუბოში, საკუთარი ხელით აშენებულ ლამაზ ოდა სახლში ცხოვრობდა. ამ სახლს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრობენ მწერლები, ხელოვნების მუშაკები და ატარებენ ლიტერატურულ საღამოებს. ბატონ ოტიას ერთი თვის წინ 81 წელი – 16 ივნისს შეუსრულდა.

ქართველი ხალხისთვის ოტია იოსელიანი არა მარტო მწერალი, ის იყო მოაზროვნის, მშრომელი კაცის სიმბოლო. სინანულის მომგვრელია, როცა ველარ ვიხილავთ მოსაუბრე ბატონ ოტიას, გრძელი მუნდშტუკით ხელში და იმერულ კილოკავით თქმულ საოცარ იუმორს.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი დიდი გულისტკივილით უსამძიმრებს მთელ საქართველოს და ბატონ ოტიას ოჯახს მის გარდაცვალებას.

მერაბ ბერძენიშვილი

# მეციხოვნე

ჩემო ოტია!

ქართული მწერლობის ოთარაანთ ქვრივი გიწოდე, ოთხმოცი რომ შეგისრულდა. შენი მართალი შეუპოვარი სიტყვა, შენი თანმიმდევრული ბრძოლა ქართული ეროვნული ფენომენის შენარჩუნებისთვის, შენი მკვახე შეძახილი მედროვეთა მიმართ, შენი თავგანწირული ღაღადისი – არიქა ვუშველოთ, თორემ ქვეყანა თავზე გვენგრევაო, არ დააძინებს საქართველოს.

მშვიდობით, ჩემო უფროსო ძმაო და მასწავლებელო.

რეზო მიშველაძე

# ქართველთა გულებში ჩასახლდა და უკვდავებაში გადასახლდა

მიუხედავად ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობისა, ოტია იოსელიანის სიკვდილი მაინც მეხის გავარდნას ჰგავს.

წავიდა კაცი – ნამდვილი ერისკაცი. კაცი, ქვეყნის ტკივილით გულგაპობილი. საქართველოს დიდი ჭირისუფალი, თავისი ცხოვრების წესით მუდმივად გლეხი და მუდმივად ინტელიგენტი... კაცი, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანების იმედიანი საყრდენი იყო, მართლაც უღალატო, ჩაგრულთა დიდი ქომაგი...კაცი, რომლისთვისაც დედამიწის ზურგზე სამი რამ იყო მიუღებელი: მიწის ღალატი, კაცის ღალატი და ზნეობრივი კომპრომისი.

ქართული მიწა მიიბარებს დიდ მწერალს, კაცს, რომელსაც ფესვები ღრმად ჰქონდა მიწაში და მიწას, როგორც მეგობარსა და მარჩენალს ელაპარაკებოდა.

ქართული მიწა მიიბრუნებს კაცს, რომელიც ბრძენიც იყო და ბავშვივით გულჩვილიც, „დაჩის ზღაპრებით" და „დაჩის ზღაპრებში ცხოვრობდა"...

ადამიანი იბადება ერთხელ, გვითხრა დიდმა მწერალმა და „სანამ ურემი გადაბრუნდება", მანამდე ფიქრი და მიტევებაა საჭირო...

ასე ცხოვრობდა ოტია იოსელიანი.

ურემი გადაბრუნდა – ოტია იოსელიანი გარდაიცვალა... ბევრჯერ და ბევრ რამეზე ვატკინეთ გული, „ქვეყანას მიხედეთო" ,- კაცურად გვითხრა. ჩასახლდა ქართველთა გულებში და გადასახლდა უკვდავებაში, რომ მეტად უპატრონოს მის ბედკრულ ქვეყანას, საქართველოს და ქართულ მიწას.

ასეთია ჩემი და „მოძრაობა თეთრების" სამძიმარი მთელი საქართველოსა და ოტიას ოჯახის მიმართ.

თემურ შაშიაშვილი
2011 წლის 15 ივლისი

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი მწერლისა და დრამატურგის, ქართული თეატრის დიდი მეგობრის

ოტია იოსელიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

# აი, ვის ჩაიკრავს გულში მადლიანად ქართული მიწა!..

ზუსტად ერთი თვის წინათ, 16 ივნისს დაბადების დღე – 81-ე წლისთავი მივულოცე.

– ე, ბიჭო, გადამრევ შენ, რა დროს დაბადების დღეა, დაგვენგრა ქვეყანა თავზე!.. ბებიაჩემმა სულ არ იცოდა, როდის იყო დაბადებული, – მტკიცა თავისებური პირდაპირობით. დავემშვიდობე, ჯანმრთელობა ვუსურვე ჩემს საამაყო თანამემამულეს (გვიშტიბი და მაღლაკი გვერდიგვერდ არიანძ...

– აბა, თქვენ იცით, მომიკითხე რედაქციაში ბიჭებიო, მითხრა და ეს იყო ჩვენი ბოლო შეხმიანება... თურმე, ერთ თვეში ტოვებდა ამ წუთისოფელს, რომელიც მან, როგორც პიროვნებამ და თავისი პრინციპების მქონე მწერალმა სამაგალითოდ გალია...

მკითხველი დამეთანხმება, რომ ოტია იოსელიანი არასდროს ყოფილა, ზოგიერთი თავისი კოლეგის დარად, მოყანყალე „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა", არც კომუნისტურ წეს-წყობილებას ეფერებოდა და არც, ვითომ, ეროვნულ მოღვაწეთ... არც ჩვენ – ახლო მეგობრებს გვინდობდა: შემოივლიდა რედაქციაში წყალტუბოდან ჩამოსული, მოგვიკითხავდა, „რას შობით ახლა აქ, აშენებთ ქვეყანას?.. წამოით, წამოით, თოხნაში მეშველო... სიმინდი მაქ გვიშტიბში სამოროდო."

ის ერთადერთი ოტია იყო – კუშტი, დაუნდობელი, სამშობლოს უბედურებით გულმოკლული... შეიძლება ითქვას, რომ წიგნიერი მსოფლიო შემოიარა მისმა რომანებმა და „დაჩის ზღაპრებმა", ათობით თეატრში დაიდგა „სანამ ურემი გადაბრუნდება" და კიდევ მრავალი სხვა პიესა... აღარას ვამბობ მისი სცენარებით გადაღებულ ფილმებზე... აღარას ვამბობ მის განსაკუთრებულ „შემოქმედებაზე" – თავისი ხელით ლოჭინის ხევში აშენებულ წისქვილზე, თბილისში, საირმის ქუჩაზე მიღებულ ბინაში თავისი ხელით გაკეთებულ „იმერული ყაიდის" რემონტზე და წყალტუბოში თითქმის თავისი ხელით წამომართულ სასახლეზე, სადაც ლიტერატურულ საღამოებს მართავდა ხოლმე მწერალი...

წავიდა ოტია ოისელიანი, თავისი ქვეყნის, თავისი მშობელი მიწის ჭეშმარიტი პატრიოტი „გვიშტიბელი შოლოხოვი". ღმერთმა ნათელში ამყოფოს, აი, ვის ჩაიკრავს გულში მადლიანად ქართული მიწა!

ვილენ მარდალეიშვილი

◉ სულიერება

# გერგეტის სამება — სიყვარულის დღე



**16 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს გერგეტობას.**

**...სულ რამდენიმე წელია, რაც დაწესდა ყოვლად წმინდა სამების კიდევ ერთი დღესასწაული — სიყვარულის დღე.**

**წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი არის სიყვარული!“**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რა არის სიყვარული. ადამიანი ვერასდროს ჩასწვდება ღვთის არსს და ასევე ვერასდროს ახსნის რა არის სიყვარული, ...ერთი მეცნიერი ამბობს — მე არ მინახავს ღმერთი, მე ვნახე მხოლოდ მისი კვალი, რომელიც გამოვლინდა ბუნებაში“.

...და, მართლაც ყველაფერში ვლინდება, რომ ღმერთი არის სიყვარული. ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ადამიანებს შორის და ზოგადად დედამიწაზე.

# ...დედით კოლხი — ათანასე ათონელი



**18 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა ათანასე ათონელს იხსენიებს.**

**...ათანასე ათონელმა ათონის მთაზე ააშენა მრავალი ტაძარი, კელია, სატრაპეზო, საავადმყოფო, მოგზაურთა მისადგომი.**

ამბობენ, რომ ერთხელ, შიმშილობისას, ათანასეს გამოეცხადა ღვთისმშობელი და უბრძანა მას კვერთხი დაერტყა ქვისთვის, რის შემდეგაც, ნაპრალიდან ამოხეთქა სუფთა წყარომ, რომელიც დღესაც კურნავს ადამიანებს.

იმ სასწაულებრივ მადლთაგან, რომელიც წმინდანს ჰქონდა მინიჭებული, განსაკუთრებით გამოირჩევა სწრაფი დახმარება სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ.

საგულისხმოა, რომ ათანასე ათონელი დედით კოლხი იყო.

**გიული ლიპარტია**

◉ საზოგადოება

**მეცნიერები გვაფრთხილებენ: მაღალი თანამდებობის მქონე, ან დიდი ფულის პატრონი სუსტი სქესის წარმომადგენლები ძალიან ადვილად ხდებიან... სექსუალური მტაცებლები!**

**აღმოჩნდა, რომ დისკომფორტი, რომელსაც წარმატებული და მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალების ქმრები განიცდიან, მეუღლესთან უთანაბრო მდგომარეობა და ამის გამო საყვედურების მოსმენა კი არა, არამედ... ბანალური „რქებია“, რომლებსაც ცოლები ადგამენ. დასავლეთში ამის აღსანიშნავი სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა „ალფააღიულტრესები“, რომელსაც ფსიქოლოგები ეგრეთ წოდებულ ალფა-მდედრებს, დომინანტ ქალებს უწოდებენ, რომელთათვის მოქცევის მამაკაცური სტილია დამახასიათებელი.**

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ალფა-მდედრს მდიდარი და ცნობილი ალფა-მამრისთვისაც კი შეუძლია პრობლემების შექმნა. ამის მაგალითად თუნდაც ბრწყინვალე ცოლქმრული წყვილის, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზისა და მისი მეუღლის, ყოფილი მოდელისა და მომღერლის კარლა ბრუნის მოყვანა შეიძლება.

**„მე მამაკაცთა მომთვინიერებელი ვარ, — აღიარა ჟურნალ „ფიგაროსთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში იტალიელმა ლამაზმანმა სარკოზისთან ქორწინებამდე ადრე. — მხოლოდ საკუთარი თავის ერთგული ვარ. მართალია, ზოგჯერ ცხოვრების მონოგამურ წესს მივდევ, მაგრამ უპირატესობას პოლიგამიას და პოლიანდრიას ვანიჭებ“** (აქვე ვიტყვით, რომ მონოგამია — ესაა როცა მამაკაცს ხანგრძლივი სექსუალური ურთიერთობები მხოლოდ ერთ ქალთან

# ნეტავ ვინ ვის და რას უპირებს?



აქვს, პოლიგამია — როცა მამაკაცს ერთდროულად რამდენიმე ქალი ჰყავს, ხოლო პოლიანდრია, როცა ქალს ერთდროულად რამდენიმე სექსუალური პარტნიორი მამაკაცი ჰყავსძ.

ტილბურგის უნივერსიტეტის პროფესორის იორის ლამერსის აზრით, **ძალაუფლება ზნეობრივ საფუძველს არყევს და, მამაკაცების მსგავსად, ქალებსაც რისკის გაწევისკენ უბიძგებს.**

— ისინიც რწმუნდებიან, რომ ძალაუფლება უძლიერესი აფროდიზიაკია, საიდუმლო პაემანებისგან ისინიც ადრენალინის ძლიერ მუხტებს იღებენ.

— ბუნებით ქალები მამაკაცებზე ბევრად გულკეთილნი სულაც არ არიან, — ეთანხმება მას ფსიქოლოგი ანდრე სახნო. — თანაც ისინი ყოველთვის ასეთები იყვნენ. უბრალოდ თანამედროვე საზოგადოებაში ამ თვისებების უკეთ გამომჟღავნების პირობები შეექმნათ. ახლა ქალებს ხშირად „მამაკაცთა“ როლები ერგებათ ხოლმე — პოლიტიკაში, ბიზნესში, სახელმწიფო სამსახურში...

შეერთებული შტატები იმ მხრივ საჩვენებელი ქვეყანაა, აქ ნებისმიერი მიზეზით ხალხი პრეტენზიებს აყენებს — ზოგი სასამართლოში, ზოგიც სხვადასხვა კომისიაში, მათ შორის სექსუალურ განზრახვებთან დაკავშირებითაც. გაზეთი „უოლ სტრიტი“ აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ქვეყანაში სექსუალურ განზრახვებთან დაკავშირებით გაცილებით მეტი საჩივარი... მამაკაცებისგან მომდინარეობს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15 პროცენტით გაიზარდა. მამაკაცები, ძირითადად, ხელის ფათურს, ჩქმეტას, მოურიდებელ ლაპარაკს, უხამს მინიშნებებსა და სექსუალური შინაარსის უხეშ ხუმრობებს უჩივიან.

როგორც ჩანს, 21-ე საუკუნეში ქალები მართლაც ძალიან შეიცვალნენ...

**დავით მერიშვილი**

◉ რეიტინგი

# ევროკავშირის მდიდრები და ღარიბები

**ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპძ მოცულობით ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ერთ ციდა ლუქსემბურგს აქვს. სწორედ ამის თაობაზე მონაცემების საფუძველზე ევროპის სტატისტიკურმა სააგენტომ „ევროსტატმა“ ცოტა ხნის წინათ ლუქსემბურგი ევროპის ყველაზე მდიდარ ქვეყნად დაასახელა.**

„ევროსტატის“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში ასევე აღნიშნულია, რომ მყიდველუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, ლუქსემბურგის მშპ დაახლოებით ექვსჯერ აღემატება ევროკავშირის ყველაზე ღარიბი ქვეყნის, ბულგარეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. **თუ ბულგარეთში იგი 43 პროცენტია, ლუქსემბურგში ის 283 პროცენტს უდრის. რაც შეეხება ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებს, ერთ სულ მოსახლეზე, მსყიდველობითი უნარის მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო მაჩვენებელი 108 პროცენტია.**

ლუქსემბურგის ასეთ მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებელთა ბუნებას, „ევროსტატის“ ექსპერტთა აზრით, ის ახსნა აქვს, რომ მისი მეზობელი ქვეყნების — გერმანიის, საფრანგეთისა და ბელგიის მოქალაქეები მართალია ლუქსემბურგში მუშაობენ, მაგრამ იქ არ ცხოვრობენ. შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის დაანგარიშებისას მათი შემოსავალი სათვალავში მიდის, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშების დროს უცხოელი მოქალაქეები — ფრანგები, გერმანელები და სხვები, არ გაითვალისწინებიან.

ამასთან, შარშანდელ მონაცემებზე დაყრდნობით „ევროსტატმა“ ასევე ევროკავშირის 27 ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი მსყიდველობიანობის სტანდარტების მიხედვით პირობითი ერთეულებით შეაფასა. **პირველ ადგილზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლუქსემბურგია 283 პროცენტით, რომელსაც მოსდევენ ნიდერლანდი (134ძ, ავსტრია, დანია, ირლანდია (125ძ, შვედეთი (123ძ, გერმანია (119ძ, ბელგია (118ძ, ფინეთი (116ძ, დიდი ბრიტანეთი (113ძ, საფრანგეთი (107ძ, იტალია (100ძ, სხვები.**

შეძლებულ ევროკავშირელთა სიის ბოლოში აღმოჩნდნენ გაერთიანების ახალი წევრი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

**ლალი ხუნდაძე**

◉ ანეკდოტები

**ექვსი თვეა, მიხო ამერიკაშია. შევიდა რესტორანში და მიმტანს ეუბნება:**
**— ახლა მომიტანე დამწვარი ლობიო, დაახეთქე მაგიდაზე და მითხარი: შეხეთქე!**
**— რატომ? — ჰკითხა მიმტანმა.**
**— ეე, სახლში ყოფნა მომენატრა, მაგის დედა ვატირე.**

* * *

**თანამედროვე კომისარიატში:**
**— რა განათლება გაქვთ?**
**— უმაღლესი, ჰარვარდის უნივერსიტეტი დავამთავრე, ბატონო ოფიცერო.**



**— თინა, დაწერე, ჯანმრთელია, იცის წერა-კითხვა.**

* * *

**ტიპი რეკავს:**
**— ალო, გამოსაფხიზლებელია?**
**— დიახ.**
**— ქიბროწაშვილი მაიყვანეი?**
**— არა ჯერ არ მოუყვანიათ?**
**— არც მაიყვანენ, სახლში ვსვამ, თქვენი დედაც კი...**

* * *

**მანქანის მოყვარულ ნარკომანს ცოლი ულტიმატუმს უყენებს:**
**— ან წამალი, ან მანქანა, ან მე! თუ არა და, წავედი!**
**— მაიცა რა, შე ჩემა, სამივე დავეტევით, ტო!**

* * *

**— ხალხი არჩევნებზე მიდის ხმის მისაცემად და ჩვენ არ წავიდეთ? — ეპატიჟება მიხო მაროს.**
**— ვისაც მივეცი, იმან რა მამიტანა, ჰა? — გაუბრაზდა მარო.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24